# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბჭობის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 2010 წელი.

№210 (6576)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ⑤ „საამური“ ცხოვრება

## ვინ მიატოვა ღვთის ანაბარა იგოეთი?



⑧



## როგორ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი ამერიკა-რუსეთის დაახლოების ფორმატში? ②

წყალს თუ ისეთი ფასი დაედო, რომ ოქროზე ძვირი დაჯდა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის 24-საათიანი წყალმომარაგება უძვირესი ტვირთი გახდება და ჩაშხამებულ მადლს დაემსგავსება.

## რას გვიქადის წყლის ფასის ③ მომატება?



## მოჩვენებითი „ფილოსოფია“ ⑦ თუ რეალური სამშობლო?

## ერთი გარკვევით გვითხრან, უფრო მეტად დასაქმებულები ვართ თუ უმუშევრები? ④

## რა მემკვიდრეობა შეგვიძლია მივილოთ ანდერძით? ⑥

გვესაუბრება ჩვენი იურიდიული კონსულტანტი ქალბატონი ირინე ღლონტი






დინამო-ლივერპული. 1979 წ. 3 ოქტომბერი



ჰამბურგი-დინამო. 1979 წ. 24 ოქტომბერი. წამიც და „ყიფო“ ანგარიშს გახსნის

## არშემდგარი ⑩ „ძლევაი საკვირველი“

## ილიაობა და პრემია ⑨ „საგურამოს“ ლაურეატები



◎ პარლამენტში

# დიალოგი დიალოგისთვის თუ...

## მოლაპარაკება წინაპირობის გარეშე მაინც ვერ შედგა

***საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება გუშინ პარლამენტში გაიმართა. პროცესი ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო, რასაც თითქმის არაფერი უშლიდა ხელს, ნების უქონლობის გარდა. ვინაიდან ხელისუფლება ფეხს ითრევდა, ოპოზიციონერებს იმის საშუალება ჰქონდათ, ემტკიცებინათ, ხელისუფლებას მოლაპარაკებები და ზოგადად საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა ხელს არ აძლევსო, მაგრამ რადგანაც პირველი შეხვედრა შედგა, ამის გამო საყვედურებსაც ბოლო მოეღო...***

მოლაპარაკებების დაწყების პროცესს წინ ირაკლი ალასანიასა და დავით ბაქრაძის შეხვედრა უსწრებდა. მართალია, ალასანია მარტო მივიდა პარლამენტის თავმჯდომარესთან, საღამოხანს, არაფორმალურ გარემოში, თუმცა მან ამ შეხვედრის შესახებ ყველა პარტნიორ პარტიას აცნობა და მათგან თანხმობა მიიღო. ამას მეორე დღეს დავით ბაქრაძის საგანგებო ბრიფინგი მოჰყვა, სადაც მან განაცხადა, რომ „საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად მუშაობის დაწყების სურვილი გამოითქვა როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ამის ნება ხელისუფლებასაც გააჩნია“.

მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა პირველი ბარიერი უკვე წარმოიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიცია საკუთარი კანონპროექტით მიდის, ხოლო ხელისუფლება ამას რატომღაც ულტიმატუმად აღიქვამს. „დიალოგი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა წარიმართოს“, — აღნიშნა ბაქრაძემ.



თუმცა წინაპირობისა და ულტიმატუმის გარეშე პროცესი მაინც ვერ შედგა, რადგან პარლამენტში დაგეგმილ შეხვედრაზე ეროვნული ფორუმი არ გამოცხადდა. ფორუმელების განცხადებით, ისინი მოლაპარაკებებში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვებიან, პარტიის წევრ ზაზა ჩაკვეტაძეს თუ გაათავისუფლებენ.

პარლამენტში პირველ შეხვედრაზე საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხები განიხილეს. მორიგი შეხვედრა უკვე სხვა გარემოში გაიმართება და არა პარლამენტში.

დავით ბაქრაძემ თანხმობა განაცხადა საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დიალოგში ჩართვის პროცესზეც, თუმცა აღნიშნა, რომ „საარჩევნო კოდექსზე მუშაობისას მთავარი მოთამაშეები თავად პარტიები იქნებიან. ეს უნდა იყოს ღია პროცესი, რომელიც საერთო შეთანხმებამდე მიგვიყვანს, მივიღებთ კომპრომისულ გადაწყვეტილებებს, სადაც ყველა პარტიის მოსაზრებას შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ“, — დასძინა მან.

**თავად ოპოზიციური პარტიის ლიდერები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ როგორც იქნა, შეხვედრა დაიგეგმა და გადაძახილების ეტაპი დასრულდა, ხოლო საზოგადოებას ამ პროცესისადმი უნდობლობის გამო საყვედურობენ. ასე რომ, დიალოგი დაიწყო... ახლა მთავარია დიალოგი არ იყოს დიალოგისთვის და მან შედეგიანი გაგრძელება ჰპოვოს.**

თეა მოსია

◎ მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერით

# არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ დავით ბაქრაძეს, რვა ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც მონაწილეობენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პროცესში

2010 წლის 6 ნოემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, გამართონ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრა, არსებითად კონსტრუქციულ ვითარებაში წარიმართა და მისი მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების წარმომადგენლები მივიდნენ დასკვნამდე:

როგორც ხელისუფლება, ისე პროცესის მონაწილე ოპოზიცია, პირველ რიგში, ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და, ამდენად, უნდა მოიძებნოს ფორმა, რომლის მეშვეობითაც მოლაპარაკებების მიმდინარეობა და შედეგები გამჭვირვალე იქნება და საზოგადოებასაც მიეცემა ამ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. მით უმეტეს, პროცესის ნებისმიერი შედეგი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება პროდუქტიული, თუ იგი იმავე საზოგადოების მიერ იქნება მოწონებული და მხარდაჭერილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მოლაპარაკების პროცესს დამკვირვებლის სტატუსით უნდა დაესწროს შედეგით დაინტერესებული საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის თუნდაც ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი.

პატივისცემით
6 ნოემბრის შეხვედრის საორგანიზაციო ჯგუფი,
9 ნოემბერი, 2010

◎ პრესკონფერენცია

# მიშა-აბასის მზაკვრული გეგმა?!

***დიდი მითქმა-მოთქმაა ამტყდარი ხელისუფლების გეგმაზე სამხრეთ აფრიკელი ბურების საქართველოში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ თემაზე საჯაროდ ხმას არავინ იღებს. ალბათ, იმიტომ რომ ამ გადაწყვეტილებას სერიოზულად არავინ აღიქვამს. უფრო მეტიც, მორიგი გავრცელებული ჭორის სტატუსიც კი მიანიჭეს, თუმცა ჩვენი პრეზიდენტის პატრონს, რა გაგვიკვირდა?!***

ჩინელების ჩამოსახლებაზეც ასე მოხდა, ვითომ თავიდან ჭორი გაავრცელეს — საზოგადოება აზრს შეაჩვიეს, მერე ახალი „თანამოქალაქეების“ საქართველოში ჩამოსახლების უპირატესობას ხელისუფლების წარმომადგენლები დაუზარებლად გვამცნობდნენ. მოგვიანებით საზოგადოებაში მათ ადაპტაციას თბილისის სხვადასხვა უბანში სოკოებივით მომრავლებულმა, ქართული მოსახლეობის ფინანსებს „მორგებულმა“ მაღაზიებმა შეუწყო ხელი.

გუშინ, ლეიბორისტული პარტიის ოფისში პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ დუმილი დაარღვია, ჟურნალისტები მიიწვია და პრესკონფერენცია გამართა, რათა „მიშა-აბასის მზაკვრული გეგმები“ საზოგადოებისთვის გაეცნო. სწორედ ასე უწოდა ხელისუფლების ახალ გეგმას აფრიკელი ბურების ჩამოსახლების გამო.

„ლეიბორისტული პარტია“ კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოში სამხრეთ აფრიკელი ბურების ჩამოსახლების გეგმას. ქართველ გლეხებს მოუწოდებს საკუთარი მიწები შეინარჩუნონ და ხელისუფლებას გეგმის განხორციელებაში ხელი შეუშალონ.

ჯიბლაძის განცხადებით, მართალია ხელისუფლება ამ ფაქტის გახმაურებას ჯერჯერობით ერიდება, მაგრამ თანდათან უფრო ცხადი ხდება, რომ ბური ფერმერების ჩამოსახლების გეგმა რეალობაა. ამის დასტურად მან ბრიტანულ გამოცემა The Independet-ში დაბეჭდილი სტატია დაასახელა, სადაც საქართველოს ხელისუფლებისა და ბური ფერმერების მიერ მიღწეული შეთანხმებების დეტალებზეა საუბარი.

პაატა ჯიბლაძის თქმით, უკვე დაწყებულია 40 ათასი ოჯახის ჩამოსახლება, რომელთაც, სავარაუდოდ, ქართლისა და კახეთის რეგიონებში ჩაასახლებენ.

„ეს ანტიეროვნული გეგმა ქართველი გლეხების შევიწროებისა და ჩაგვრის ხარჯზე ხორციელდება, რაც მათთვის გადასახადების დაწესებაში და მიწების ჩამორთმევის მუქარაში გამოიხატება. ამის გარდა, ახალი კანონპროექტი, რომელზეც პარლამენტში ამჟამად მუშაობენ, სამხრეთ აფრიკელ ბურებს დაცული ტერიტორიებისა და ტყის ფონდების ყიდვის შესაძლებლობებს მისცემს“, — განაცხადა ჯიბლაძემ.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქართველი აგრონომები ეგვიპტეში გაივლიან სასწავლო კურსს და განათლებულად აალორძინებენ ქართულ აგროსექტორს, შემოიტანენ ახალი ჯიშის მცენარეებს და „აითვისებენ“ მიტოვებულ მიწის ფართობებს, თუმცა სამხრეთ აფრიკელი ბური ფერმერების ჩამოსახლება რა შედეგს მოიტანს ჩვენი საექსპერიმენტო ქვეყნისთვის, ამის განსაზღვრა, ალბათ, რთული იქნება.

თინათინ ბორცვაძე

◎ განსჯა

**ჯაშუშების დაკავების შემდეგ, რა საპასუხო ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ რუსეთისგან, რუსეთის ნატოში გაწევრების შესახებ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში გახშირებული საუბრების მიზეზებზე და, ასევე, რამდენად წაადგება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებას ნატო-რუსეთის დაახლოება, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში გია ვოლსკის ესაუბრა.**

# აშშ-რუსეთის დაახლოება ახალი შესაძლებლობა და ფორმატია, რომელშიც ჩვენი ადგილი უნდა მოვძებნოთ

**— ბატონო გია, ჯაშუშების დაკავების შემდეგ, სავარაუდოდ, რა საპასუხო ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ რუსეთისგან?**

— რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სერიოზულ პროპაგანდისტულ მანქანას აამოქმედებს. მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ როცა, რუსეთმა ირანს სს-300 სისტემის იარაღი არ მიაწოდა, საქართველო ირანსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის თავისუფალი მიმოსვლისთვის კორიდორს ქმნის და ამით ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ტერორისტებს ეხმარება. გარდა ამისა, რუსეთი წინ აღუდგება სამხრეთ ოსეთში ეუთო-ს მისიის აღდგენას, რაზეც დასავლეთი დიდი ხანია მუშაობს და რაც ქართული მხარისთვის კარგი იქნებოდა.

არ გამოვრიცხავ რუსეთში არალეგალურად მცხოვრები ქართველების გარკვეული ნაწილის დეპორტაციასაც, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ კრემლი რუსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ კიდევ უფრო ლოიალური გახდეს და სააკაშვილის ხელისუფლებასთან მათ სავარაუდო დაპირისპირებაზე მუშაობა გააძლიეროს.

**— რუსული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად აკეთებენ განცხადებებს რუსეთის ნატოში გაწევრების სასარგებლოდ. ამ საკითხებზე მისთვის დამახასიათებელი მანერით „ეხო მოსკვისა“ და „რტვის“-ის ეთერში ვრცლად ისაუბრა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ. იმის გათვალისწინებით, რომ ჟირინოვსკი თითქმის ყოველთვის კრემლის პოზიციას ახმოვანებს, უპრიანია ვიკითხოთ — რა ხდება რუსეთის პოლიტიკაში?**

— სრულად ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ჟირინოვსკი საგანგებო მისიით ახმოვანებს კრემლის პოლიტიკას. შიდა პოლიტიკაში თამაშის წესი, რომელიც ლიდერებს შორის პოზიციების დაახლოებაზე მუშაობას ითვალისწინებს, არ გამორიცხავს, რომ ჟირინოვსკი, სახელისუფლო სტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ჟირინოვსკი ხელისუფლებისგან გარკვეულ დამოუკიდებლობას და დისტანციას, როცა ეს საჭიროა, ინარჩუნებს.

რაც შეეხება მის პროგნოზებს, რასაკვირველია, მის ნათელმხილველობას არ ემყარება. მას საკმაოდ კარგი კავშირები აქვს კრემლში და, შესაბამისად, ფლობს ინფორმაციას და ხშირად მისთვის დამახასიათებელი ექსტრავაგანტიზმით საუბრობს იმაზე, რაზეც მასზე უფრო ინფორმირებული პირები არ საუბრობენ. ძალიან ბევრი, მათ შორის საქართველოს საექსპერტო წრეებში, პროგნოზირებდა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციაში ობამას მოსვლის შემდეგ რუსეთ-დასავლეთის, აშშ-რუსეთის და ნატო-რუსეთის დაახლოება სწრაფი ტემპებით დაიწყებოდა. რუსეთის სახელისუფლო პროპაგანდაც იმაზე მუშაობდა, რომ რუსეთ-დასავლეთის დაახლოება წარმოეჩინა, როგორც ენერგორესურსებზე დამყარებული ურთიერთობა, რაც სწორი არ აღმოჩნდა. დაახლოება სტრატეგიული მიმართულებებით მიმდინარეობს და ამაში ენერგორესურსებიც მოიაზრება.

ვფიქრობ, რუსეთის დასავლეთთან არდაახლოებისა და კონფრონტაციული რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში, დაზარალდებოდნენ როგორც მთელი მსოფლიო, ისე — რუსეთი და აშშ-ც. და ეს მაშინ, როცა ჩინეთი საკმაოდ სწრაფი ტემპებით ვითარდება და სულ უფრო მეტად ხდება როგორც აშშ-ს, ისე ერთიანი ევროპის კონკურენტი.

**— შეიძლება, ვივარაუდოთ, კრემლში გააცნობიერეს, რომ, თუ რუსეთი ნატოს არ დაუმეგობრდა, დასავლური ტექნოლოგიები არ აითვისა და დასავლეთისა და აშშ-საგან ინვესტიციები არ მიიღო, რუსეთის აღმოსავლეთის ტერიტორიებს ჩინეთის მზარდი ეკონომიკა შთანთქავს?**

— რასაკვირველია, თქვენ მიერ დასახელებული არგუმენტები ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი პირველთაგანია, მაგრამ ამას კიდევ დავამატებდი იმ სარგებელს, რომელიც რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობას შეიძლება ჰქონდეს. საუბარია აღმოსავლეთიდან დასავლეთში ათეული ტრილიონი დოლარის ღირებულების რესურსების გადანაცვლებაზე. გარდა ამისა, იმ ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების გარეშე, რომელსაც დასავლეთი ფლობს, რუსეთი ვერც რესურსების მოპოვებას გააფართოებს და ვერც სატრანზიტო სისტემების განვითარებას ვერ შეძლებს. მართალია, ჩინეთს ჯერ არ გამოუვლენია აგრესიული პოზიცია რუსეთის აღმოსავლეთის ტერიტორიების მიმართ, მაგრამ რუსეთში ჩინეთის ექსპანსია საკმაოდ შესამჩნევია.

**— ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ერთადერთია, რომლის რეგისტრაციაში გატარება საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტრომ მოასწრო, ხოლო მისი ლიდერი ყოველთვის საბჭოთა სამხედრო-საწარმოო კომპლექსისა და სამხედრო დაზვერვის ინტერესებს ახმოვანებდა. საინტერესოა, ახლა ვის ახმოვანებს ჟირინოვსკი?**

— ჟირინოვსკი ახლა საკმაოდ მომგებიან თამაშს თამაშობს. მას შეუძლია, რუსი ოზივატელისთვის დამაინტრიგებელი თემის სათანადოდ წამოწევა და დარწმუნება. გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებაში მედვედევისა და პუტინის ჯგუფებად დაყოფა სულ უფრო შესამჩნევი ხდება და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ პროცესს დასავლეთი როგორც ფინანსური, ისევე იდეოლოგიური რესურსებით ხელს უწყობს არა მარტო რუსეთის შიგნით, არამედ მის გარეთაც. დასავლეთი აქტიურად მუშაობს ყაზახეთში, თურქმენეთსა და იმ ქვეყნებში, რომლებიდანაც რუსეთი გაზს იღებს. ჟირინოვსკიმ დროს ალღო კარგად აუღო და ხელისუფლების ერთ ან მეორე ჯგუფს დასაყრდენის სახით თავის თავს სთავაზობს.

იხ. 4 გვ.

პრობლემა — წყალი

# უმარილო მადლი

**წყალს თუ ისეთი ფასი დაედო, რომ ოქროზე ძვირი დაჯდა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის 24-საათიანი წყალმომარაგება უმძიმესი ტვირთი გახდება და ჩაშხამებულ მადლს დაემსგავსება.**

დღეს ქუთაისში მოპოვებული წყლის თითქმის ნახევარი (47%) ჩაჟანგებული და დაცხრილული მილებით გაედინება და იკარგება. მიწის ქვემოთ და მიწის ზემოთ წყალი ქმნის ღვარცოფებს და მეწყერს, ნიაღვრები შედის სარდაფებში, შლის ლიბო-საძირკველს და შენობა-ნაგებობებს დაქცევა-განადგურებით ემუქრება. არადა, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითოეული კუბური მეტრი წყლის მოპოვებას 2,1 კილოვატი ელექტროენერგია ესაჭიროება და ამ თანხას, რომლის ჯამი რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს, მოსახლეობის ნაცვლად, დღემდე ბიუჯეტი იხდის.

ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ახდა ქუთაისელთა დიდი ხნის ოცნება და ორ დღეში ერთხელ, ისიც სამი-ოთხი საათით კი არა, წყალს 24 საათის განმავლობაში შეუფერხებლად ვიღებთ.

ელემენტარული გათვლაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ მაგისტრალური ქსელი 28 ან თუნდაც 31 ქუჩაზე კი არა, წყალმომარაგების პროექტის მეორე-მესამე ეტაპზე მთელს ქალაქში ყველგან იდეალურად რომ შეკეთდეს, ზემოხსენებული ცვლილება ელექტროენერგიის ხარჯს მაინც დიდად — თითქმის 10-12-ჯერ გაზრდის. ეს მით უფრო მას შემდეგ ითქმის, რაც ქუთაისის „წყალკანალს“ ფუნქცია მთლიანად დაუკარგეს, კვალიფიციური თანამშრომლები მასობრივად ჩამოაშორეს და ჯერ „დასავლეთის წყალს“, შემდეგ კი მკვეთ-



რად გამოხატული მონოპოლიური ხასიათის გაერთიანებას — „საქართველოს წყალს“ შეუერთეს.

რადგან ზემოთ უკვე თქმულ უამრავ სხვა დაბრკოლებას დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერი დაემატა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ბედი ელის მოსახლეობას, როცა წყალმომარაგებისთვის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ბიუჯეტი აღარ გადაიხდის. ეს მით უფრო საფიქრალია, რომ ქუთაისის წყალმომარაგებას, მოსალოდნელია, ისეთივე საფრთხე დაემუქროს, როგორიც „თბილწყალს“, მათაც უცხოელები იყიდიან და ისე უკარნახებენ ხელისუფლებას თავიანთ ნებასურვილს, როგორც თავად მოესურვებათ. ამის ერთ-ერთი სამწუხარო მაგალითია კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითარი, რომელიც ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას წყლისა და ელექტროენერგიის ერთდროული გამორთვით ემუქრება, თუ რომელიმე კომუნალური გადასახადი ვერ გადაიხადა. არადა, თითქოს ისიც განგებ ხდება, რომ მაღალი მთებითა და საკალმახე მდინარეებით გარშემორტყმული იმერეთი, იმის ნაცვლად, რომ ბუნების სიკეთით სარგებლობდეს და თვითონ გამოიმუშავებდეს ელექტროენერგიას, დღითი დღე ზრდის უაზროდ დახარჯული კილოვატების რაოდენობას. აი, ამის თვალნათლივი მაგალითი: წინა საუკუნის 30-იან წლებში, როცა მომარაგების წყაროდ რიონჰესის სათავე ნაგებობის კაშხალი გამოიყენებოდა, წყლის სარკის სიმაღლე ზღვის დონიდან 154,7 მეტრს აღწევდა, დღევანდელი ნიშნული კი, რომელიც მაღლაკსა და ფარცხანაყანევშია, 40 მეტრს არ აღემატება.

რას ნიშნავს ეს ქუთაისისთვის, რომლის უმაღლესი ნიშნული 300 მეტრია?

რას და სიზიფეს შრომას — 40 მეტრიდან 300 მეტრამდე აზიდულ წყალს და ამის გამო ელექტროენერგიის ხარჯვის ასტრონომიულ დონეს. 24-საათიანი მომარაგების პირობებში მოსახლეობისთვის ეს გაცილებით გაუსაძლისი ტვირთი გახდება.

— არადა, არის გამოსავალი, რომელიც თავიდან აგვაცილებს უაზრო ხარჯს და თვითონ გამოგვამუშავებინებს ელექტროენერგიას. — ამტკიცებს ცნობილი ჰიდროლოგი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ შაუთიძე, რომელიც აქტიურად მონაწილეობს იმ მონიტორინგში, რასაც წყალმომარაგების სამუშაოებთან დაკავშირებით, ფრიდრიხ ებერტის ფონდთან მჭიდრო პარტნიორობით ახორციელებენ ლიდერი ორგანიზაცია — „ახალი სამოქალაქო აზროვნება — პლუსი“, ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“ და გაზეთი-გამომცემლობა „სარკმელი საქართველოსი“. ამ კოალიციას აქტიურად ეხმარებიან ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის ოფისი.

ოთარ შაუთიძესა და მის კოლეგას, პროფესორ ჯონი ნოსელიძეს, აგრეთვე გეოგრაფს, პროფესორ ოთარ ჩხეიძეს მიაჩნიათ, რომ აუცილებლად უნდა განახლდეს ცაგერის რაიონიდან წყალმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაწყებული სამუშაოები. მათი განახლება ნიშნავს, რომ სათავე ნაგებობა ზღვის დონიდან 800 მეტრზე იქნება და წყალთან ერთად თუთიის სისტემის ჰიდროტურბინების გამოყენებით ელექტროენერგიის გამომუშავება ეკოლოგიის უმკაცრეს მოთხოვნებსაც სავსებით დააკმაყოფილებს და წყლის თვითღირებულებასაც მკვეთრად შეამცირებს.

როგორც "საქართველოს რესპუბლიკაში" ჯერ კიდევ 2008 წლის 26 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდით, ამ შეხედულებას სავსებით იზიარებდა იმერეთის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე, რომელმაც პრეზიდენტის შეკითხვაზე, რა მდგომარეობაა ქუთაისში 24-საათიანი წყალმომარაგების მხრივო, უპასუხა: „ქუთაისისა და წყალტუბოსათვის წყალს ცაგერის რაიონიდან თვითდინებით მივიღებთო“.

საუბედუროდ, გუბერნატორები და ქალაქის მერები ქუთაისში იმდენად სწრაფად და მოულოდნელად იცვლებიან ხოლმე, რომ მათი დაპირება ხალხსაც ავიწყდება და ხელისუფლებასაც.

* * *

**ქუთაისში** კარგა ხანია ჩამოხსნეს 24-საათიანი წყალმომარაგების ბილბორდები, რადგან უმაღლესი ხელისუფალის დაპირება ვერც 2008, 2009 და ვერც 2010 წელს ვერ შესრულდა. არც შესრულდებოდა, რადგან ამ მიზნით გამოყოფილი 12 მილიონ 558 ათას 140 ევრო ქუჩების ერთი მეათედის წყალგაყვანილობის რეაბილიტაციისთვისაც კი ძლივს კმაროდა.

დღეს ისევ აღდგა ძველი ბილბორდები, რადგან ამჟამად მათი აღდგენა ეფუძნება ახალ სერიოზულ დოკუმენტს — ქვეყნის წყალმომარაგების უზრუნველყოფის ნაციონალურ პროგრამას.

ქუთაისში მისი პირველი ეტაპის დასრულების ვადად 2011 წლის ივნისი დასახელდა. ამ სამუშაოთა ჯამური ღირებულება 33 მილიონი ლარია და გვპირდებიან, რომ მათი დასრულების შემდეგ წყალი დღე-ღამეში 12 საათს გვექნება.

დავიჯეროთ, თუ...

მავანი ისევ თვალსა და ხელს შუა ატყუებს როგორც საზოგადოებას, ისე ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს.

— გამჭვირვალობის თვალსაზრისით მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა მას შემდეგ, რაც „ქუთაისწყალი“, როგორც ყველა ანალოგიური ორგანიზაცია, ჯერ „დასავლეთის წყალს“, შემდეგ კი „საქართველოს წყალს“ შეუერთდა. — გვეუბნება ლიდერი ორგანიზაციის — „ახალი სამოქალაქო აზროვნება — პლუსის“ ხელმძღვანელი, ახალგაზრდა ინჟინერი ლაშა ჭელიძე და გვაცნობს 2010 წლის ივნისში ჭიათურაში განხორციელებული იმ კვლევის ანგარიშს, რომელიც იმერეთის წყალმომარაგების სამუშაოებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენელი ნაწილია.

ამ ქალაქის სერვის-ცენტრს კანალიზაციის მილების გასაწმენდად სასწრაფოდ დასჭირვებია რამდენიმე მეტრი ექვსმილიმეტრიანი რკინის მავთული, მაგრამ რადგან ახალი წესების მიხედვით დამოუკიდებლად შეძენის უფლება არ ჰქონდა, ცენტრიდან მის მიღებას მთელი კვირის განმავლობაში ელოდნენ.

უაზრო და ყოვლად გაუმართლებელი ცენტრალიზაციის მსგავსი უმძიმესი მაგალითი ბევრია.

— საინტერესოა იმ ანკეტური გამოკითხვის შედეგები, რომელიც წლეულს, სექტემბერში წყალმომარაგების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად განხორციელდა, — გვეუბნება რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხელაძე. ამ გამოკითხვაში მონაწილეობდა 1000 რესპონდენტი, მათ შორის ქუთაისიდან 448, წყალტუბოდან — 200, ჭიათურიდან — 188, ბაღდათიდან — 100, დანარჩენი 64 ანკეტა კი შეავსეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც სხვადასხვა შეხვედრაში მონაწილეობდნენ.

გამოკითხვის ძირითადი ბლოკის პირველი შეკითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რას ფიქრობს საზოგადოება, საიდან უნდა იმართებოდეს წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ კითხვაზე თითქმის 80 პროცენტმა უპასუხა, რომ უნდა იმართებოდეს იმ მუნიციპალიტეტიდან, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს.

ამგვარი პასუხი, ვფიქრობთ, სავსებით კანონზომიერია, მით უფრო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ის დამატება და შესწორება, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონსა და ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში შევიდა, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების როლის ამაღლებას ემსახურება. ამ ფონზე კი წყალმომარაგების მკაცრი ცენტრალიზება აშკარა მანკიერი ანაქრონიზმია, რადგან როგორც მოსახლეობა, ისე ადგილობრივი თვითმმართველობა უკვე რეალურად განიცდიან მდგომარეობის ბიუროკრატიზმით დამძიმების უმწვავეს შედეგებს.

**ჩვენი ვარაუდით, თუ არ იქნა გამჭვირვალობის მაღალი დონე და ადგილობრივი პირობების ოპტიმალური გათვალისწინება, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება იმ ჭეშმარიტად მასშტაბური გეგმის მეორე და მესამე ეტაპზე, რომელსაც ქვეყნის წყალმომარაგების ეროვნული პროგრამა ეწოდება.** შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის პირველ ეტაპზე საქართველოში 320 მილიონი ლარი დაიხარჯა, დანარჩენი ორი ეტაპი კი, რომლებიც 2011-2013 წლებში განხორციელდება, სამჯერ და გაცილებით მეტს ითვალისწინებს — შესაბამისად 91 და 923 მილიონი ლარის სამუშაოებს. მათ შორის ქუთაისში წყალმომარაგების რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე დაიხარჯება 6,5 მილიონი ლარი, ხოლო მესამე ეტაპზე, რომელიც 2011-2013 წლებს მოიცავს, დამატებით კიდევ 155 მილიონი ლარი.

თუ ეს თანხა გონივრულად, მიზანსწრაფულად და უანგაროდ, თანაც პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფართო საზოგადოების რეალური ჩარევითა და მეტი გამჭვირვალობით დაიხარჯება, იმედია, რომ 24-საათიანი წყალმომარაგების შესახებ ხელისუფლების მრავალგზისი დაპირება ამჯერად მაინც შესრულდება.

მაგრამ ისევ და ისევ ბეჯითად ვიმეორებთ იმას, რაც ზემოთ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ: **ვერც მილების გამოცვლა, ვერც ინდივიდუალური მრიცხველები და ვერც მომჭირნედ ხარჯვის ნებისმიერი სხვა ღონისძიება ვერ შეამსუბუქებს მოსალოდნელი გადასახადის იმ უმძიმეს ტვირთს, რაც 24-საათიანი მომარაგებისას მოსახლეობას ელოდება, თუ 800 მეტრის სიმაღლიდან თვითდინებით მიღების ნაცვლად შეუცვლელი დარჩა 40-მეტრიანი ნიშნულიდან 130 მეტრზე წყლის ატუმბვისათვის გაწეული სიზიფესეული შრომა და დახარჯული ელექტროენერგია.**

მე უკვე ხანდაზმული კაცი ვარ და შეიძლება ვინმემ მითხრას: რა გადარდებს, ორი დღის წუთისოფელი დაგრჩენიაო!

შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის მაფიქრებს, რა პასუხი უნდა გავცე შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, თუ მკითხეს: რატომ გვიმტრე? როცა ხედავდი, ქალაქში საშვილიშვილო საქმე კეთდებოდა, რატომ არ იყვირე, წყალს ცეცხლის ფასი რომ არ დაედოს, მადლს მარილიც მოაყარეთო?!

**ალექსანდრე შენგელია,**
„სრ“ საკუთარი კორესპონდენტი
ქუთაისიდან

* * *




**სურათებზე: პროფესორი ოთარ შაუთიძე, ასოციაცია ასა-ს თავმჯდომარე ზაზა ხელაძე და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი ნოდარ ჯიქია განიხილავენ საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგებს; წყალმომარაგების რეაბილიტაციის სამუშაოები.**

ავტორის ფოტოები

განსჯა

# აშშ-რუსეთის დაახლოება ახალი შესაძლებლობა და ფორმატია, რომელშიც ჩვენი ადგილი უნდა მოვძებნოთ



(მეორე გვერდიდან)

**— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟირინოვსკი უშიშროების იმ გენერლებს ახმოვანებს, რომლებსაც მედვედევი და პუტინი „ემორჩილებიან“?**

— ალბათ სიტყვა „დამორჩილება“ გადაჭარბებული შეფასება იქნებოდა, მაგრამ თუ პუტინი მთელი თავისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რესურსით იმ სფეროს ემყარება, სადაც იგი თავად არის (უშიშროებას ვგულისხმობ და იგი ამას ყოველთვის ხაზს უსვამს), მედვედევის გარემოცვაში გამოჩდნენ ახალი სახეები, რომლებსაც უშიშროებასთან ურთიერთობა ნაკლებად ჰქონდათ. მედვედევმა სამხედრო სტრუქტურის მაღალ ეშელონებში საკადრო ცვლილებებიც განახორციელა. საუბარი იყო იმაზეც, რომ თავდაცვის მინისტრსაც მიეცა წინადადება, უახლოეს პერიოდში დატოვოს პოსტი. მსგავსი უწყების ხელმძღვანელთა ასე გადანაცვლება არ ხდება, მაგრამ ის, რომ მან მთელი რიგი საკადრო ცვლილებები განახორციელა, ფაქტია. მედვედევის გარემოცვაში გამოჩდნენ ინტელექტუალები, ეკონომისტები, ახალგაზრდები, რომლებიც უფრო შორს იყურებიან, აქცენტს ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე აკეთებენ და არა ენერგორესურსებზე, როგორც ამას პუტინი აკეთებდა. საინტერესოა ისიც, რომ ამის თაობაზე ღია განცხადებები დაიწყო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. თუ ისევ ჟირინოვსკის თემას დავუბრუნდებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟირინოვსკი არის ის პიროვნება, რომელიც რუსეთის ნატოსთან დაახლოების თემას ქვეყნის საპრეზიდენტო გუნდთან შეთანხმებით ახმოვანებს.

**— გითხრათ სიმართლე, მედვედევ-პუტინის დაპირისპირების არ მჯერა. შესაძლოა, მათ შორის დაპირისპირება იმისთვის თამაშდება, რომ შექმნილ ვითარებაში პოლიტიკურ ასპარეზზე პრეზიდენტობის მესამე და დასავლეთისთვის უფრო მისაღები კანდიდატი არ გამოჩნდეს. რუსეთის პოლიტიკურ კულუარებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ოფშორულ ზონებში პუტინის სახელთან დაკავშირებული ანგარიშები დაყადაღებულია და რუსი ოლიგარქები, რომლებსაც თავისი ფინანსების შენარჩუნება სურთ, პუტინის გუნდიდან მედვედევის გუნდში გადაბარგებას ჩქარობენ. ამგვარი საუბრები რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს სიმართლეს?**

— ეს ჭორია თუ მართალი, ამაზე მე კი არა, ჩემზე უფრო ინფორმირებული ადამიანები ვერ იტყვიან, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ასეთ თემებზე საკმაოდ მაღალ დონეებზე იწყება საუბარი, რასაკვირველია, რაღაცისთვის არის განკუთვნილი. მე გამოვრიცხავ, რომ პუტინს არ ჰქონდეს გარკვეული ფინანსური ჯგუფების კონტროლის საშუალება და გარკვეულ რესურსებს სადმე თავს არ უყრიდეს. იმ თემის წამოწევა, რომ მისი რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი რომელიღაც ოფშორშია დაყადაღებული, მიუთითებს, რომ რუსეთში 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასავლეთი ფსონს მედვედევზე დებს. პოლიტტექნოლოგიაში არსებობს ასეთი პოსტულატი — რაც არ არსებობს, შენ უნდა შექმნა სწორედ ისეთი, როგორიც შენ გაწყობს. მედვედევსა და პუტინს შორის დაპირისპირება რომ არ არსებობდეს, უნდა მოიგონო ან უნდა შექმნა ისეთი გარემო, რომელიც შენვე გაწყობს. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით დასავლეთი თავის ძალისხმევას არ დააკლებს.

**— რამდენად სავარაუდოა ნატოს ლისაბონის სამიტზე ნატო-რუსეთის მნიშვნელოვანი დაახლოება და მიაღწევენ თუ არა მხარეები შეთანხმებებს პრინციპულ საკითხებზე?**

— მთავარი და პრინციპული საკითხია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განლაგება, რაზეც აშშ-სა და რუსეთის პოზიციები ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება. ძალიან დიდი ხანი იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ მედვედევის ნატოს ლისაბონის სამიტზე წასვლა. ჩემი აზრით, საფრანგეთის ქალაქ დოვილში მერკელ-სარკოზი-მედვედევის სამიტზე ბევრი რამ გაირკვა და როგორც ჩანს, ამ შეხვედრაზე მედვედევი უფრო წელგამართული მიდის.

უკვე გამოიკვეთა თემები, რომლებშიც ნატო და რუსეთი ითანამშრომლებენ — ავღანეთის მიმართულება, რომელშიც თანამშრომლობა დაწყებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ გაფართოვდება; თანამშრომლობა ტერორიზმთან და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლა. შესაძლოა, კულუარულად განხილული იყოს ისეთი საკითხები, რომლებიც რუსეთის სამშვიდობო ინიციატივებს უკავშირდება. საუბარია ევროპული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაზე, რომელიც მედვედევმა ევროპას ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე შესთავაზა. ეს კონცეფცია აშშ-სთვის პრაქტიკულად მიუღებელია, მაგრამ თუ საფრანგეთმა და გერმანიამ მხარი დაუჭირეს, ამ თემაზე ლისაბონში ისაუბრებენ, რასაც ალბათ რუსეთი თავის პოლიტიკურ მიღწევად ჩათვლის.

**— რამდენად წაადგება ნატოსთან რუსეთის დაახლოება საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას?**

— ჩემი აზრით, როცა აშშ და რუსეთი ერთმანეთთან დაპირისპირებული იყვნენ და გეოსტრატეგიული მდებარეობით მნიშვნელოვანი საქართველო ცდილობდა აშშ-ს ლოიალობა მოეპოვებინა, საქართველოს მხრიდან ამგვარი პოლიტიკა არცთუ ისე ბრძნული პოლიტიკა იყო. დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ისე წყვეტენ საქმეს, როგორც მათ აწყობთ. საბოლოო ჯამში, არავინ არ აღმოჩნდა მზად, რომ რუსეთს რადიკალურად დაპირისპირებოდა.

ვფიქრობ, ნატო-რუსეთის და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-რუსეთის მთელ რიგ სტრატეგიულ საკითხებში დაახლოება არის ის ახალი შესაძლებლობა და ფორმატი, რომელშიც ჩვენი ადგილი უნდა მოვძებნოთ. თუ პარალელებს გავავლებთ, რუსეთთან დაპირისპირებას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია.

**კობა ბენდელიანი**

სოციალური კვლევა

# ერთი გარკვევით გვითხრან, უფრო მეტად დასაქმებულები ვართ თუ უმუშევრები?

**ცოტა ხნის წინათ ინტერნეტში ასეთი გაშარჟებული ცნობა ამოვიკითხე: „2010 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები: 1. პრეზიდენტი — 1 ც.; 2. პრეზიდენტის მეუღლე — 1 ც.; 3. პრემიერ-მინისტრი — 1 ც.; 4. პრემიერ-მინისტრის მეუღლე — 1 ც.; 5. ალინა კაბაევა — 1 ც.; 6. პრემიერ-მინისტრის ძაღლი — 1 ც.; 7. ფედერალური და ადგილობრივი მოხელეები — 2.347.562 ც.; 8. რფ-ს დანარჩენი მოსახლეობა — 147.892.125 ც.“ კაცმა რომ თქვას, ამ ანეკდოტში ტყუილი არაფერია, მაგრამ ამჯერად იგი იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ, რომ სტატისტიკურად, შესაძლოა, რაღაც-რაღაცეები სინამდვილეს კი შეესაბამებოდეს, მაგრამ რეალურად არსებულ ვითარებას ვერანაირად ვერ ასახავდეს.**

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სახელისუფლებო სტრუქტურების მომსახურე ამერიკული კომპანიის „გრინბერგ ქუინლენ როსნერის“ დაკვეთით საქართველოში მოქმედი „ACT“-ს მიერ სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები იმდენად განსხვავდება დამოუკიდებელი ქართული „IPL“-ისა და გაზეთ „ბანკებისა და ფინანსების“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებისგან, რომ შეუსაბამობა, რომ იტყვიან, შეიარაღებული თვალითაც ჩანს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამერიკული კომპანიის მომსახურება ქართველ გადასახადების გადამხდელებს ძალიან ძვირი უჯდებათ, თან მათი სანდოობა, დამოუკიდებელი კვლევების შედეგებთან შედარებისას, გარკვეულ უნდობლობას იწვევს. ამასთან, დამოუკიდებელი ექსპერტები სავსებით სამართლიან ეჭვს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ „გრინბერგ ქუინლენ როსნერს“ კვლევის შედეგები თავის ვებგვერდზე არ გამოუქვეყნებია, რაც იმის ფიქრის საბაბს იძლევა, რომ ეს მონაცემები მხოლოდ „შიდა მოხმარებისთვისაა“ განკუთვნილი და ადგილობრივ მოსახლეობაში გარკვეული პიარკომპანიის წარმოებაზეა გათვლილი.

კვლევის პროცესში „გრინბერგ ქუინლენ როსნერმა“ 1200 რესპონდენტი გამოკითხა საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, „IPL“ და გაზეთ „ბანკებისა და ფინანსების“ სოციოლოგიურმა ჯგუფმა — 530, რაც, როგორც აღნიშნავენ, „სრულფასოვან საშუალებას იძლევა რეალური სურათის დასანახად და დასკვნების გამოსატანად“. ACT გამოკვლევა კონფიდენციალური ხასიათისაა და ამდენად მისი ოფიციალური მონაცემები დახურულია.

ახლა რაც შეეხება თავად გამოკვლევის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ACT-ს ინფორმაციით, რესპონდენტთა 67 პროცენტი პრეზიდენტისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კურსს იწონებს, 28 პროცენტი კი მხარს არ უჭერს. 83 პროცენტის აზრით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობაში მოსვლის შემდეგ, დასაქმების მაჩვენებელი გაუმჯობესდა, ხოლო 75 პროცენტს მიაჩნია, რომ დასაქმების მხრივ თბილისში კარგი ვითარებაა და ამ მიმართულებით ქალაქის მერის პოლიტიკას დადებითად აფასებს.

ამასთან, ალტერნატიული კვლევის შედეგების თანახმად, კითხვაზე „მხარს უჭერთ თუ არა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას (პოლიტიკური კურსი, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა და საპენსიო უზრუნველყოფაძ“, დადებითი პასუხი გასცა 29,8 პროცენტმა, უარყოფითი — 60 პროცენტმა, ხოლო ჩამოყალიბებული აზრი არ ჰქონია 10,2 პროცენტს.

დასაქმება და მატერიალური მდგომარეობა, რაზეც დამოკიდებულია მოსახლეობის სოციალური ყოფა, პირდაპირ კავშირში რომ არის, ამას, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ამის გათვალისწინებით, ACT-ს გამოკვლევის შედეგით ზემოთ ნახსენები დასაქმების საკითხის გაუმჯობესება, როგორც ეს გამოკითხულთა 83 პროცენტმა აღნიშნა, დიდად განსხვავდება დამოუკიდებელი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებისგან, რომლის დროს დასმულ შეკითხვაზე „თქვენი და თქვენი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა 2003 წლიდან 2010 წლამდე, „გაუმჯობესდა“ აღნიშნა რესპონდენტთა 17,3 პროცენტმა, „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა“ — 3,8 პროცენტმა, „გაუარესდა“ — 26,8 პროცენტმა, „მნიშვნელოვნად გაუარესდა“ — 13,6 პროცენტმა, „იგივე დარჩა“ — 26,8 პროცენტმა, „არსებითად იგივე დარჩა“ — 11,7 პროცენტმა. რაოდენ მცდარიც არ უნდა იყოს ამ უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები, რომლებიც, ვთქვათ, თუნდაც რესპონდენტთა ორჯერ ნაკლები რიცხოვნობით შეიძლება აიხსნას, სამჯერადი ცდომილება (შესაბამისად, 83 და 26,8 პროცენტიძ მაინც იმ რიგისაა, რომ თავისთავად ციფრი „83“ ნდობას არანაირად არ იმსახურებს. სტატისტიკასაც თავი რომ დავანებოთ, ყველაფერი ხომ ისედაც ჩანს, ყოველგვარი სოციოლოგიური გამოკვლევების გარეშე! მეორე მომენტი კი ის არის, რომ ACT-ს გამოკითხვის შედეგები, რომლებიც დასაქმებასა და უმუშევრობას ეხება, სრულიად განსხვავდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციისგან. კერძოდ, ამ უკანასკნელის მონაცემებით, 2004-2009 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა მილიონ 783 ათასიდან მილიონ 656 ათასამდე შემცირდა, ხოლო უმუშევართა ოდენობა ამავე პერიოდში 258 ათასი კაციდან 336 ათასამდე გაიზარდა. შესაბამისად, — 2004 წლის უმუშევრობის 12,6 პროცენტიანმა მაჩვენებელმა 2010 წლის დამდეგისთვის 16,9 პროცენტამდე აიწია.

ამასთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმოა ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტის მერაბ ჯანიაშვილის განცხადება, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა: — ძალიან მაინტერესებს ACT-ს გამოკითხვის ჩატარების მეთოდოლოგია და ადგილი. გამოკითხვა მთლიანად თბილისში, ერთ-ერთ ყველაზე ელიტარულ, თუნდაც შარდენის ქუჩაზე რომ ჩატარებული იყო, სადაც, ჩვეულებრივ, ფინანსურად უზრუნველყოფილი ხალხი იკრიბება, ეჭვი მეპარება, რომ გამოკითხულთა 83 პროცენტს საქართველოში უმუშევრობის შემცირებისა სჯეროდეს. ჩვენი არაობიექტური სტატისტიკაც კი ბოლო წლებში საქართველოში უმუშევრობის ზრდას აფიქსირებს. „საქსტატის“ მონაცემებით, შარშან ქვეყანაში უმუშევრობამ თითქმის 17 პროცენტს მიაღწია და 15 პროცენტს სჯერა, რომ საქართველოში დასაქმების მაჩვენებელი გაუარესდა? დანარჩენი 2 პროცენტი უმუშევარია და მაინც მოსწონს ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტემპები? თუ „გრინბერგ ქუინლენ როსნერს“ ვენდობით, ჩვენი „საქსტატი“ ხელისუფლების საწინააღმდეგო მაჩვენებლებს გვაწვდის და უმუშევრობის დონეს „ძალით“ ზრდის...

რაც შეეხება წმინდა წყლის პოლიტიკური ნდობის გამოხატვას, უნდა ითქვას, რომ შეკითხვაზე „ხვალ რომ პარლამენტში არჩევნების დღე იყოს, რომელ პარტიას (გაერთიანებას, მოძრაობასძ მისცემთ ხმას?“ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას „IPL“-ის რესპონდენტთა 21,1 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ხოლო არც ერთს ხმას არ მისცემდა გამოკითხულთა 29,4 პროცენტი.

ეს, ჩვენი აზრით, იმის დამადასტურებელია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დაქსაქსულ, ლამის გათითოკაცებულ ოპოზიციურ ძალებზე გაცილებით უნარიანად მოქმედებს და ეფექტიანად იყენებს ნებისმიერ ხელსაყრელ, წარმოსაჩენ გარემოებას, რასაც დანარჩენი პარტიების მომხრეთა პროცენტული მაჩვენებლებიც ადასტურებს, რომლებიც ახლოსაც ვერ მიდიან მმართველ პარტიასთან.

**ოთარ ტურაბელიძე**

გლობუსი

# „საამური“ ცხოვრება

**ტელევიზიის წყალობით საქართველოს მოსახლეობამ დიდად „გასახარი“ რამ შეიტყო — საარჩევნო გარემოს შექმნისათვის რვა პოლიტიკური პარტიის შეთანხმება. ითქვა ისიც, რომ „დიდი რვიანი“ მზადაა ხელისუფლებასთან დაიწყოს მოლაპარაკება. კიდევ უფრო „გასახარი“ ის არის, რომ ხელისუფლებაც მზად არის დიალოგისთვის. მოსახლეობის კმაყოფილება განსაკუთრებით იზრდება, როდესაც ხელისუფლება-ოპოზიციის გადაწყვეტილებას ესალმება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატია. გიხაროდენ!**

ხელისუფლება-ოპოზიციის ახალი, ხანგრძლივი ფლირტი იწყება, საზოგადოების სრული გამოთაყვანების მიზნით. ხანგრძლივ პროცესში უხვად მოგვაწოდებენ კონსულტაციების პერიპეტიებს, შესაბამისი ვიდეო კადრებით, ისე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი არცთუ დიდი ხნის წინათ. ამ ავადსახსენებელ კანონზე მუშაობის დროს. არც ქვეყნის კონსტიტუციაზე მუშაობის ერთწლიანი პროცესია დასავიწყებელი. მაინც რამდენი მტვერი გვაყარეს თვალში!? შედეგიც უეჭველად ისეთი იქნება, როგორც კონსტიტუციის მიღების დროს.

საქართველოს მოსახლეობა „უდიდესი კმაყოფილებით“ შეხვდა ახალ ამბავს და იმედოვნებს, რომ ხელისუფლება-ოპოზიციის დაუშრეტელი შრომით ისეთი კანონი შემუშავდება, რაც ხელს შეუწყობს ორთავეს შესვლას პარლამენტში, საკუთარი ყოფა-ცხოვრების უკეთ მოკვარახჭინებისთვის.

საზოგადოებას აღარავისი სჯერა. ის თავისი ცხოვრებით ცხოვრობს — ორივესგან მოშორებით, ორივეს მხრიდან შეურაცხყოფილი, უყურადღებოდ მიტოვებული, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც საბოლოო იმედი ჯერაც არ გადაწურვიათ. ოპოზიციურ თვითკმაყოფილებაში მათი წვლილი გაწუზომელია. ეს ის ხალხია ვინც ფილარმონიისა და ჭადრაკის სასახლის დარბაზებს ავსებენ, ეს არის და ეს. მათი აქტიურობა გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ორი წლის წინათ, როდესაც ასეულ-ათასობით ქუჩაში გამოსულს გულით სურდა გაზაფხულის მოსვლა, „ბრძენმა“ ოპოზიციამ სახლში შეტენა. ოპოზიციისგან განსხვავებით, ხალხმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლა. ის არ აპირებს ქუჩაში გამოსვლას, ვინაიდან იცის, რომ მისით ვაჭრობენ ანუ ოპოზიცია ხელისუფლებას ევაჭრება, ევაჭრება არა ხალხის სასიკეთოდ, არამედ საკუთარი კეთილდღეობისთვის.

**ოპოზიციას გული მოსდის ხალხზე — ქუჩაში არ გამოდისო, ჩვენ მარტონმა რა ვქნათო. მართალია ოპოზიცია. მას რომ ხალხის გამოყვანა შეეძლოს ნამდვილი ოპოზიცია იქნებოდა. ის, რაც არის, ძნელი დასადგენია ხელისუფლებაა თუ ოპოზიცია. თორთლაძის შემხედვარე საზოგადოებას, ისე, როგორც დანარჩენი საპარლამენტო „ოპოზიციონერების“, სხვა წარმოდგენა რომ არ ექნება მათზე, ცხადია. არც ქუჩის ოპოზიცია იმსახურებს პატივისცემას. ისინიც ისეთივე „ნდობით“ სარგებლობენ ხალხის მხრიდან, როგორითაც პარლამენტში მოკალათებულნი.**

ოპოზიციამ ხალხის გამოყვანა, რომ შეძლოს კარგად უნდა იცოდეს ხალხის ჭირ-ვარამი, ის უამრავი პრობლემა, რომელიც პერმანენტული ცუნამივით ატყდება თავს. ყოველ დღეს ახალ-ახალი პრობლემები მოაქვს — ხელისუფალთა მიერ საგულდაგულოდ მოფიქრებული და საკუთარ ჯიბეზე გათვლილი. სახელისუფლებო „ნოვაციებს“ აღარც სინდის-ნამუსი აქვს და აღარც საზღვარი. დედამიწის ზურგზე იშვიათად მოიძებნება ხელისუფლება, რომელიც ესოდენ მიზანმიმართულად აწამებდეს საკუთარ ხალხს. ხალხი კი უპასუხოდ ტოვებდეს ყოველივეს. და როდესაც ხალხის მხრიდან რეაგირებას ადგილი არ აქვს, გათავხედებული ხელისუფლება ახალ „ნოვაციებს“ სთავაზობს მას. ოპოზიცია გულგრილად შეჰყურებს პროცესს, ნაცვლად იმისა, იდგეს ხალხის გვერდით, უხსნიდეს ხელისუფალთა უკულმართობის საფუძველს, საკუთარ პროგრამას აცნობდეს მას, პასუხს სთხოვდეს ხელისუფლებას დანაშაულებრივი ქმედებისათვის და სხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩათვლის ხალხი ოპოზიციას თავისიანად. კონფორმიზმით დაავადებულ მსხვილკისერა, ზედმეტი კვებისგან სახესავსე „ოპოზიციონერების“ ხალხის მოჭირნახულედ ჩათვლა ჭირს.



ხელისუფლებისთვის მებრძოლ გარე თუ შიდა ოპოზიციას დიდი ხანია თავი ქუდში აქვს — ბიუჯეტის დაფინანსებით, სხვა შემოსავლებით, ამდენად მისთვის სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირია. ძნელია მისი მხრიდან ხალხის ჭირის გაზიარება შავი, დაბურულმინებიანი ჯიპებიდან, საზღვარგარეთ მიმავალი თვითმფრინავის ბიზნეს კლასის სალონიდან, ვერსაჩეს, ვალენტინოს, ისი მაიკის, სხვა კუტურიეთა მიერ შექმნილი ტანსაცმელ, ფეხსაცმელ, აქსესუართა სამყაროდან, აწყობილი საყოფაცხოვრებო პირობებიდან.

ოპოზიციამ მხოლოდ ყურმოკრულად იცის სანაგვე ყუთებთან თბილისელთა გახშირებული გაწევ-გამოწევის შესახებ — ჩემია ეს ნაგავი და არა შენიო. ოპოზიციას მთლიანობაში წარბიც არ შეუხრია ხელისუფალთა მიერ გამოგონილი სიახლეების მიმართ — ხორცზე ფასების კატასტროფული ზრდა, სხვა საკვები პროდუქტის ფასების გაათმაგება, კომუნალური მომსახურების გადასახადების ძალადობრივი ამოღება, ტრანსპორტის შემცირება და შესაბამისად ფასების გაზრდა და სხვა. ოპოზიციას არ აწუხებს სოციალური საკითხები, ერთადერთი ვინც თავს იწუხებს ლეიბორისტებია. — ამბობენ მაინც. დანარჩენები ერთობ „ფუნდამენტური“ საკითხებით არიან დაკავებულნი, მაგალითად საარჩევნო კანონმდებლობით. თითქოს ამავე ხელისუფლებასთან ერთად არ ემუშავათ საარჩევნო კანონზე. მერე რა გააკეთეს? მიიღეს ის, რასაც დღეს უვარგისად თვლიან. რა გარანტიაა, რომ ანალოგიურს არ ექნება ადგილი? არავითარი! ხელისუფლება მზადაა თანამშრომლობისთვის, ვინაიდან დარწმუნებულია კანონი ისეთი იქნება, როგორც მას მოაწყობს. ამასობაში დროს გაიყვანს, ხალხის ნეგატიურ ემოციებს ჩააქრობს გამუდმებული ტელესიუჟეტებით „კანონზე“ მუშაობის პერიპეტიებით — თითქოს კანონი გადაარჩენს ქვეყანას. ასე გაივლის დრო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე — ღლაბუცსა და PR კამპანიაში. **ხელისუფლება მაგარია, მაგრამ ოპოზიციაც ხომ მაგარია. ეს ორი „მაგარი“, მაგრად ატყუებს ხალხს. მათდა სამწუხაროდ ხალხი ხვდება ამას, მაგრამ ისიც „მაგარია“, ნაცვლად სიმაგრის გამოვლინებისა და ხელისუფალთა მზაკვრული საქმეებისთვის შეწინააღმდეგებისა, საერთო ენას პოულობს მასთან — მიზერული 20-25 ლარის საფასურად, რასაც ცხადია, ოპოზიციისგან ვერ მიიღებს. ხალხი ოპოზიციისგან, გაერთიანებული მაქვს მხედველობაში, სანუგეშო სიტყვასაც ვერ ღებულობს. შეკრებილ 8 პარტიას სიტყვაც არ დაცდენია კვების პრდუქტების, განსაკუთრებით ხორცის გაძვირებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, საქალაქო ტრანსპორტის მარშრუტების მკვეთრად შემცირებაზე, არც იმაზე რა წამებით მგზავრობს ავტობუსებში „შპროტის“ ქილაში თევზებივით ჩაპრესილი ხალხი, ან რამდენი უჯდება მგზავრს დანიშნულების ადგილამდე მისვლა. ოპოზიციას სიტყვაც არ დაუძრავს ხელისუფალთა მიერ დაგეგმილ პროექტებზე, ისეთებზე, როგორებიცაა თბილისის რკინიგზის ხაზის გადატანა, გმირთა მოედნის სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა, უხამსი „ძეგლების“ დადგმა და მათში ფულის ყრა და სხვა. ოპოზიციას საზოგადოებისთვის არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად ხელისუფლება დიდ ვალებს ღებულობს უცხოეთიდან, რომელთა გაუსტუმრებლობა უდიდესი კატასტროფის მომასწავებელი იქნება, ეს ვალები ახალი უღელივით ისევ ხალხს დააწვება სხვადასხვა სახის გადასახადებით. მაშინ ვნახავთ ფასების მატებას! უდარდელ საზოგადოებას დაჩემებული აქვს პრიმიტიული სიტყვები — ნაციონალები გზებს მაინც აგებენო. რაც მართალია აგებენ, ოღონდ უხარისხოდ, ორი დღისთვის, რომ ახლიდან დააგონ და ამ საქმეში დიდი ფული „მოტეხონ“. სააკაშვილი ამ გზებს საკუთარი ჯიბიდან რომ აგებდეს მაშინ იქნებოდა დასაფასებელი და არა დღეს, როდესაც სწორედ ამ დაგებაში შოულობს ფულს.**

იშვიათია საზოგადოება, რომელიც ხვდებოდეს ხელისუფალთა მხრიდან გამოვლენილ სადიზმს, მაგრამ არაფერს ამბობდეს, როგორც ჩანს, მას მოსწონს ეს, რაც აშკარად მაზოხიზმის მიმანიშნებელია. ხალხმა ვერ გაითავისა ის, რაც ხდება უცხოეთში, სოციალურ საკითხთა გაუარესებიდან გამომდინარე. საზოგადოებამ აინუნშიაც არ ჩააგდო საფრანგეთის მრავალდღიანი და მრავალმილიონიანი გამოსვლა-გაფიცვები. ახალგაზრდობამ ვერ შეაფასა ფრანგი სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების საქციელი დამდგარიყვნენ საკუთარი მშობლების გვერდში. საპენსიო ასაკის ზრდა ხომ მათ 40 წლის შემდეგ შეაწუხებთ? ქართველ ახალგაზრდას არაფერი აწუხებს, არც პრობლემები, არც სწავლა-განათლება, არც ზრდილობა და საქციელი — მას მიშას იაფფასიანი ქუჩის კონცერტები ხიბლავს და მიშა, მიშას ბლავილი. საერთო ჯამში გამოდის, რომ ყველა კმაყოფილია იმისა, რაც არის — ხელისუფლება, ოპოზიცია, ახალგაზრდობა, ინტელიგენცია — სწორედ ისინი გაიძახოდნენ წარსულის მრავალათასიან მიტინგებთან დაკავშირებით — ხედავთ რა მაგრები ვართ ქართველები, პურს არ ვითხოვთ და მაღაზიის ვიტრინებს არ ვამტვრევთო. დიახ! მაგრები ვართ! ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ფრანგებიც, გერმანელებიც, სხვებიც და სხვებიც მაგრები არიან სწორედ იმაში, რასაც ისინი აკეთებენ. ამით ისინი ნათლად გამოხატავენ საკუთარ გულისწყრომას საკუთარი ხელით არჩეული ხელისუფლების მიმართ. მათ თავში მყარად არის გამჯდარი, რომ არჩეული, მათ უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით, როგორც ჩვენში.

ქართული „აკადემიურობა“ მაზოხიზმის ტოლია.

ცალკე თემაა საზოგადოების ის ფენა — ბიზნესად, რომ იწოდება. ბიზნესის უდიდესი ნაწილი ხელისუფლების პირმშოა და მასთან წურბელასავით მიტმასნილი. ის წოვს ხალხს და აწოვებს ხელისუფლებას. ორმხრივ პროცესში შიგადაშიგ ადგილი აქვს ხელისუფალთა მადის ზრდას, რაც ისევ ხალხის კისერზე გადადის. ფულშეწერილი ბიზნესმენი დაუზოგავად ხალხისგან იღებს დაკარგულს. ბიზნესი თავს ხელისუფლებასთან იყრის, მას ასუქებს, თან საკუთარ თავსაც არ ივიწყებს. თვითონაც გაუთავებლად ჭამს, ჭამს, ჭამს. ერთმანეთს ეჯიბრება საკუთარი ავტომანქანების სანომრე ეგზოტიკური ნიშნებით — სამი შვიდიანი თუ შვიდი შვიდიანი, სახელი თუ კიდევ რა. მას ისე, როგორც ხელისუფლებას არ აწუხებს ხალხის გასაჭირი, ქვეყნის მომავალი. მისთვის საკუთარი კუჭია მთავარი, საკუთარი ოჯახის მუცლის ამოყორვა.

**თუ ვინმეს უნდა დაეცვა ეს ქვეყანა, ნაციონალები უნდა ყოფილიყვნენ სახელიდან გამომდინარე მაინც, მაგრამ არა, მას სხვა გეგმები აქვს — ქვეყნის გადაგვარება, სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც მათ „საგმირო საქმეებს“ გადახედავ. მარტო ის რად ღირს საკუთარი ენის ნაცვლად ძუძუმწოვარა ბავშვებს ინგლისურს რომ ტენიან და თანაც ვინ? ავტომინე... დასპეცებული ინგლისური ენის მცოდნე უცხოელები. უკვე ჩვეულებად იქცა ინგლისური სიტყვების ფრქვევა ტელეეკრანიდან უცოდინარი, უსწავლელი, თინეიჯერი „ჟურნალისტებიდან“, ე. წ. ექსპერტებიდან, ძირითადი მიზანი — ყოველივე საკუთარის, ტრადიციულის დავიწყებაა. ენასთან ერთად მისი ხსენებაც არ უნდა იყოს. გამონანუკებულ საზოგადოებას იოლად ხელეწიფება არა პრობლემებზე ფიქრი, არამედ ფუქსავატურ ყოფაზე ყურადღების გადატანა. უამრავ პრობლემაში ჩაფლულ ერს ნაცვლად გამოფხიზლებისა, „სამოთხის ვაშლების“ მსგავსი მდარე შოუებით საღათას ძილისკენ ექაჩებიან — შეგნებულად, მიზანმიმართულად, გაპარტახებული ქვეყნის საბოლოო მოსათხრელად. მას ყოველდღე ჩასძახიან არარსებული წარმატებების შესახებ, რომ მსოფლიოს ათეულში შედის, რომ ბიზნესის წარმოებისთვის საუკეთესო სახელმწიფოა და სხვა. ასე უძახდა სხვებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. იმ ქვეყნებმა „ტრიუმფალური წარმატება“ გაკოტრებით დაამთავრეს. თვალი გადაავლეთ ამერიკელი ავტორის პერკინსის წიგნს „ეკონომიკური მკვლელი“ და მიხვდებით რას ნიშნავს ამ ორგანიზაციების ქება. თვალი გადაავლეთ საქართველოს დემოგრაფიას და მიხვდებით რა უსერიოზულესი პრობლემის წინაშე დგას ერი, თვალი შეავლეთ სანაგვე ყუთებში გადაშვებულ შენს თანამოქალაქეებს და დაინახავთ მსოფლიო ბანკის მონაცემების სისწორეს, მაგრამ, როდესაც ღრმა ძილით გძინავს, თვალის გადავლება შეუძლებელია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

რეპლიკა

## პურს უსამართლობა ჭამს

„სამართალმა პური ჭამაო“, ამბობენ... არა, ბატონებო, დღეს არაა ეს სწორი. ჩვენში უსამართლობა ჭამს პურს, თანაც ვერ ძღება, მალე ალბათ გასკდება კიდეც. გაუმაძღრობას ტყუილი შეუერთდა, დიდი ტყუილი და ზეიმად იქცა. მალე მათ ჰომოსექსუალისტები შეუერთდებიან და სამაიას იცეკვებენ გეიპარადებზე.

ლონდა მდივანი

ინფორმაცია

## „პირველი კავკასიის“ 13 მილიონი გადაეცა

საზოგადოებრივი მაუწყებლის „მესამე არხს“ („პერვი კავკაზსკი“) 2010 წლის გაზრდილი ბიუჯეტიდან 13 მილიონი ლარი გამოეყოფა.

როგორც ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა ევროინტეგრაციის საკითხებისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ურთიერთობების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, აღნიშნული თანხა „პერვი კავკაზსკის“ ტექნიკურ აღჭურვასა და მიმდინარე ხარჯებზეა გათვალისწინებული. პეტრიაშვილის გამოსვლას გამოეხმაურა ფრაქცია „ქრისტიან- დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი.

როგორც მან აღნიშნა, მაშინ, როდესაც რეგიონებში მაუწყებლობის განსახორციელებლად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხისთვის 4 მილიონი ლარის გამოყოფა ვერ მოხერხდა, ამჯერად „პერვი კავკაზსკისთვის“ 13 მილიონი ლარის გამოყოფა გაუგებარია.

— დაახლოებით 8 თვის წინათ, როგორც ვიცით, ფრანგულმა სატელიტმა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გამო, სატელიტური მაუწყებლობა შეუწყვიტა „პერვი კავკაზსკის“. ამის შემდეგ სისტემატიურად მიმდინარეობდა საუბარი ახალი სატელიტის მოძებნასთან დაკავშირებით. და ეს 13 მილიონი ამ კუთხით რომ ყოფილიყო მიმართული, გასაგები იქნებოდა, თუმცა როდესაც ამხელა თანხა უნდა დაიხარჯოს არხის აღჭურვისთვის, რომელსაც ისედაც თანამედროვე ტექნიკა აქვს, გაუგებარია — აღნიშნა ახვლედიანმა.

ჯი-ეიჩ-ენი

*ამჯერად, სარედაქციო ფოსტაში განსაკუთრებით ბევრი შეკითხვაა ანდერძით მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. წერილის ავტორები გვთხოვენ დაწვრილებით განვუმარტოთ, რა უპირატესობა აქვს ანდერძით მემკვიდრეობას კანონით მემკვიდრეობასთან შედარებით.*

*სიამოვნებით ვასრულებთ დაინტერესებული მკითხველის თხოვნას და განვმარტავთ, რომ ანდერძით მემკვიდრეობის არსის გასაგებად უპირველესად აუცილებელია თვით საკუთრების, როგორც უფლების მნიშვნელობის ცოდნა, რადგან სწორედ საკუთრების, უფლებისაგან გამომდინარეობს ანდერძით მემკვიდრეობაც.*

*კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია საკუთრების განსაკუთრებული ფორმა-მემკვიდრეობის უფლება, ანუ საკუთრების მემკვიდრეობით მიღებისა და გაცემის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ჩარევისაგან საკუთრების დაცვას ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში.ამით უზრუნველყოფილია, ერთი მხრივ, სამკვიდროს დამტოვებლის (მამკვიდრებლის) უფლება თავისი ქონება საკუთარი („უკანასკნელი“) სურვილის შესაბამისად განკარგოს, მეორე მხრივ კი, - მემკვიდრის უფლება მიიღოს მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონება. მამკვიდრებელი ყოველივე ამას ახორციელებს ანდერძის საფუძველზე, რომლითაც იგი განსაზღვრავს, სიკვდილის შემდეგ ვის დარჩება მისი ქონება. ამით ნათელი ხდება მემკვიდრეობის უფლების მჭიდრო კავშირი საკუთრების უფლებასთან, რადგან ანდერძის თავისუფლება სხვა არაფერია თუ არა უფლება მამკვიდრებელმა უკანასკნელად განკარგოს თავისი საკუთრება. მემკვიდრეებისთვის კი მემკვიდრეობის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ კანონით მემკვიდრეობის მიღების უფლების მქონე პირთა წრე დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როცა არ არსებობს მამკვიდრებლის ანდერძი.*

*აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად ჩანს, რომ კანონში განმტკიცებულ კანონით მემკვიდრეობაზე უფრო მაღლა დგას მოანდერძის ნება, რომელსაც ის ანდერძის საშუალებით გადასცემს, ამ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც კანონით მემკვიდრეობა, ანუ გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში „თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი“ (სსკ 1306-ე მუხლის მე-2 ნაწილი).*

*მოქმედი კანონმდებლობა განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. კანონი, ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტის განმტკიცებით, მამკვიდრებელს მემკვიდრეთა ამორჩევის უფლებას აძლევს.*

***ჩვენი იურიდიული კონსულტაცია***

# მემკვიდრეობა ანდერძით

**კითხვა: გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორი გარიგებაა ანდერძი, შეუძლია თუ არა მოანდერძეს მისი შეცვლა და საჭიროა თუ არა ანდერძის შესადგენად მემკვიდრის თანხმობა?**

**პასუხი:** ანდერძი არის კანონის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულება გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონების ბედის შესახებ. ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, რომელშიც მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული. ანდერძის ცალმხრივი ხასიათი მოანდერძეს ანდერძის შედგენის შემდეგაც კი აძლევს თავისი ქონების განკარგვის შესაძლებლობას, ანუ მას შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი თავისი სურვილისამებრ. ანდერძის შესადგენად საჭირო არ არის მემკვიდრის თანხმობა, უფრო მეტიც, მემკვიდრემ ხშირად არც კი იცის ანდერძის შინაარსი.

არსებულ სამართლებრივ სივრცეში ანდერძის უმნიშვნელოვანეს როლზე და მის აქტუალობაზე ცალსახად მიუთითებს ამ ინსტიტუტის საქართველოს სახელმწიფოს უმაღლეს კანონში – კონსტიტუციაში განმტკიცება. მემკვიდრეობის უფლება, როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციური უფლებაა.

საჭიროა დეტალურად განვიხილოთ თუ ვინ შეიძლება იყოს მამკვიდრებელი და ვინ შეიძლება იყოს მემკვიდრე და არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვები ამ პირთა მიმართ კანონმდებლობაში.

**მამკვიდრებელი** (სამკვიდროს დამტოვებელი) ის პირია, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება სხვა პირზე გადადის. ის შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. აღნიშნულის თანახმად, კანონმდებელი განამტკიცებს მთავარ შეზღუდვას, რომლის შესაბამისადაც იურიდიულ პირს არ შეუძლია გახდეს მამკვიდრებელი. ამგვარი შეზღუდვა გამომდინარეობს თვით ანდერძით მემკვიდრეობის არსიდან, რომლის მთავარ ნიშანს წარმოადგენს ერთი პირის ნამდვილი ნების გამოვლენა საკუთარი ქონების საბოლოოდ განკარგვის შესახებ.

ანდერძით მემკვიდრეობის დროს, მამკვიდრებელი ყველა შემთხვევაში აუცილებელია იყოს ქმედუნარიანი პირი. დაუშვებელია ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში იგი იყოს არასრულწლოვანი ან ქმედუუნაროდ აღიარებული სრულწლოვანი პირი.

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რა არის ქმედუნარიანობა და რისთვის არის იგი საჭირო ანდერძით მემკვიდრეობის დროს?**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად,ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედების სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ის წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე, მაგრამ არსებობს ორი გამონაკლისი: ა) ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი,რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე და ბ) პირი, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას. შესაბამისად აღნიშნულ პირებსაც შეუძლიათ შეადგინონ ანდერძი ისევე, როგორც სრულწლოვან ქმედუნარიან პირებს.

ანდერძით მემკვიდრეობისას მთავარია პირის ნამდვილი ნების დადგენა, ხოლო თუ პირი ქმედუუნაროა ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა, მას არ შესწევს უნარი გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება (სსკ 1345-ე მუხლი). აღსანიშნავია, რომ ქმედუნარიანობის დაკარგვა ანდერძის შედგენის შემდეგ, ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.

რაც შეეხება შეზღუდულ ქმედუნარიანობას, სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ასეთად შეიძლება აღიარებულ იქნეს პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები ქმედუნარიანობით უთანაბრდებიან არასრულწლოვანებს. სასამართლოს მიერ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვან პირს უწესდება მზრუნველობა. კანონის თანახმად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგების დადებისა.

**კითხვა: რამდენად სწორად მიგაჩნიათ სსკ მე-16 მუხლის დანაწესი: სადაც აღნიშნულია, რომ „კანონის თანახმად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება... მზრუნველის თანხმობით.“ აღნიშნულის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია შეადგინოს ანდერძი და ამისათვის საჭიროა მზრუნველის თანხმობა?**

**პასუხი:** საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგანაც ის (დავეთანხმები სხვადასხვა მეცნიერებს) ძირს უთხრის ანდერძით მემკვიდრეობას. ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტოოდენ ერთი პირის ნების გამოვლენაც საკმარისია სამართლებრივი ეფექტის მისაღწევად. ანდერძის ცალმხრივობას კი ის განსაზღვრავს, რომ მასში ერთი პირის ნება უნდა იყოს გამოხატული და დაუშვებელია, რომ ამ ნების გამოხატვა დამოკიდებული იყოს ვინმეს თანხმობაზე ან უარზე. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ პირს, რომელსაც შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, არ უნდა მიეცეს ანდერძის შედგენის უფლება თუნდაც არსებობდეს მზრუნველის თანხმობა და ეს პირობა ნათლად უნდა განმტკიცდეს სამოქალაქო კანონმდებლობაში.

სამართლის მიერ შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმების შემდეგ პირს გაუუქმდება მასზე დაწესებული მზრუნველობაც და წარმოეშობა სრულწლოვანისათვის შესაბამისი შეუზღუდავი უფლებები და მათთან ერთად დაუბრუნდება ანდერძის შედგენის, ანუ მამკვიდრებლად გამოსვლის უფლებაც.

კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ანდერძის შედგენის მომენტში პირს უნდა შეეძლოს თავისი მოქმედების გონივრული განსჯა და თავისი ნების ნათლად გამოხატვა. აღნიშნულის თანახმად, ბათილია ანდერძი, როდესაც პირი ქმედუნარიანია, მაგრამ ანდერძის შედგენის მომენტში ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ არ შეეძლო გონივრულად განესაჯა თავისი ქმედება და ნათლად გამოეხატა თავისი ნება, რისი საფუძველიც შესაძლოა იყოს დიდი ფიზიკური ტკივილი, ძლიერი სულიერი განცდა, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და სხვა.

რაც შეეხება **მემკვიდრეს,** ის პირია, რომელზედაც გადადის მამკვიდრებლის ქონება. მამკვიდრებლისაგან განსხვავებით, მემკვიდრე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირი და ხაზინა.

მემკვიდრეებად შეიძლება ჩაითვალონ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისთვის. ფიზიკური პირი დაბადებიდან გარდაცვალებამდე შეიძლება იყოს როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე მისი ქმედუნარიანობის მიუხედავად.

ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ ისინიც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრეობისგან განსხვავავებით, კანონმდებელი აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ჯერ კიდევ დაბადებამდე, რადგანაც, გარდა შვილებისა, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ სხვებიც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. აქ მნიშვნელობა არა აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვები მისი შვილები არიან თუ არა. საანდერძო განკარგულება ზუსტად უნდა მიუთითებდეს კონკრეტულ პირზე, რომელიც ჩასახული იყო მამკვიდრებლის სიცოცხლეში.

**კითხვა: რა შემთხვევაში ითვლება ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად?**

**პასუხი:** ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად ითვლება, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს ათი თვისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი მემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს არა დაბადებას, არამედ ჩასახვას: „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე“. როგორც ვიცით, სამართლის სუბიექტი დაბადებამდე არ არსებობს, შესაბამისად ასეთ უფლებაუნარიანობას შეზღუდული უფლებაუნარიანობა ეწოდება. შეზღუდული – იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მემკვიდრეთ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს და ეს უფლებაუნარიანობა პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება იურიდიული პირი იყოს მემკვიდრე?**

**პასუხი:** იურიდიული პირი ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის (სსკ 1308-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პირის უღირს მემკვიდრედ ცნობას. დადგენილია, რომ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (სსკ 1310-ე მუხლი).

ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. კანონი არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა, რადგანაც აღნიშნული არღვევს ანდერძის არსს.

ანდერძი მხოლოდ ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას უნდა შეიცავდეს. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება.

**კითხვა: ხომ არ არის კანონით დაშვებული რაიმე გამონაკლისი იმაზე, რომ ანდერძი შეადგინოს რამდენიმე პირმა?**

**პასუხი:** დიახ, ამ წესიდან დაშვებულია მხოლოდ ერთი გამონაკლისი - მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი, მაგრამ მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობის შემთხვევაში. აქ ხაზი აქვს გასმული ურთიერთმემკვიდრეობას, ე. ი. მემკვიდრეობას ერთმანეთის შემდეგ. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი არ შეიძლება, გარდა მეუღლეებისა ეხებოდეს სხვა პირს. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ ჯერ კიდევ ორივე მეუღლეს სიცოცხლეში (სსკ 1346-1347-ე მუხლები).

ანდერძი შეიძლება შეეხოს მთელ სამკვიდროს ან მის ნაწილს. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მოანდერძეს შეუძლია განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან, ან მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის, მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია, რომ მოანდერძე მთელ თავის ქონებას უანდერძებს შვილებს, მაშინ შვილები სამკვიდროს თანაბრად გაინაწილებენ.

**კითხვა: როგორ განაწილდება სამკვიდრო, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მათგანის წილია განსაზღვრული,სხვებისა კი არა?**

**პასუხი:** მაშინ, ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას (სსკ 1348-ე მუხლი). მაგალითად, თუ ანდერძით გათვალისწინებულია მეუღლე და შვილები, მაგრამ ნათქვამია, რომ მეუღლეს ეანდერძა სამკვიდროს ნახევარი, ხოლო შვილების წილზე არაფერია ნათქვამი, მაშინ შვილები თანაბრად გაინაწილებენ სამკვიდროს მეორე ნახევარს.

თუ მოანდერძემ, რომელმაც ანდერძით რამდენიმე მემკვიდრე დანიშნა, ანდერძში მიუთითა ქონებაზე მხოლოდ ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ და მეტი ქონება სამკვიდროში არ აღმოჩნდა, მისი ქონება ყველა ანდერძით გათვალისწინებულ პირზე თანაბრად განაწილდება.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება თუ როგორ განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების ბედს. სსკ 1350-ე მუხლის თანახმად: თუ ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეთა წილი მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს, მაშინ ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებაზე განხორციელდება კანონით მემკვიდრეობა, რომელიც შეეხება იმ კანონით მემკვიდრეებსაც, რომელთაც ეანდერძათ ქონების ნაწილი.

თუ არიან მხოლოდ ანდერძით დანიშნული მემკვიდრეები, მაშინ მათი წილი თანაზომიერად გაიზრდება. თუ თითოეულ მემკვიდრეს ანდერძით განსაზღვრული აქვს თავთავიანთი წილი, მაგრამ ყველას წილი არ ამოუწურავს სამკვიდროს მთლიანად. **მაგალითად**, თუ მოანდერძემ სამი მემკვიდრე დანიშნა და თითოეულს უანდერძა სამი სახლი, მაგრამ გაუნაწილებელი რჩება სამკვიდროში შეტანილი კიდევ ერთი სახლი, ის გაიყიდება და შედეგად მიღებული თანხა განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე, თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მოანდერძემ ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, ვინ რამდენი წილი უნდა მიიღოს?**

**პასუხი:** მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს წილი და რა ოდენობით, რადგანაც მოანდერძე, ანდერძის ნამდვილობისათვის, ვალდებულია თვითონ განსაზღვროს მემკვიდრეები და მათთვის გადასაცემი წილის ოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ნიშნებით, რომლებიც რამდენიმე პირს შეიძლება მიუდგეს და შეუძლებელია დადგენა, თუ მას კონკრეტულად რომელი ჰყავდა მხედველობაში, მაშინ ისინი ყველანი ჩაითვლებიან მემკვიდრეებად თანაბარი წილის უფლებით.

**მაგალითად,** მოანდერძემ ანდერძში მიუთითა, რომ ქონებას უანდერძებს ძმისშვილს, მაგრამ მას ჰყავს მეორე ძმისშვილიც, რომელსაც იგივე სახელი და გვარი აქვს. ასეთ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ძმისშვილი ყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს, მაშინ ორივე ძმისშვილი მემკვიდრედ ჩაითვლება თანაბარი წილის უფლებით.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა ანდერძით მემკვიდრეს და აღსანიშნავია, რომ იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე. ამ მიზნით, მოანდერძემ შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ კანონით მემკვიდრეებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში, რაც ავტომატურად ართმევს მათ მემკვიდრეობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირდაპირ არ არის მითითებული ანდერძში.

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რა უფლებით სარგებლობენ კანონით მემკვიდრეები, რომლებიც საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი ანდერძში?**

**პასუხი:** კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მოხსენიებულნი არ არიან ანდერძში, ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხებია, ასევე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებსაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალი არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან თუ მათ უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

როცა მთელი სამკვიდრო ანდერძით მემკვიდრეებზე იყო განაწილებული, მაგრამ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა კი არ წარმოიშობა, არამედ ამ წილს სხვა ანდერძით მემკვიდრეები მიიღებენ თანაბრად. განსხვავებულად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მოანდერძემ მთელი სამკვიდრო გაანაწილა ანდერძით მემკვიდრეებზე, მაგრამ ერთ-ერთი ანდერძით მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი გაბათილდა, გადავა არა ანდერძით მემკვიდრეებზე, არამედ კანონით მემკვიდრეებზე.

ანდერძით მემკვიდრეობის არსის განსაზღვრისას ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ანდერძის შედგენისთვის აუცილებელი პირობები, რომლებსაც კანონმდებელი განამტკიცებს, მაგრამ იგი იმდენად ბევრის მომცველია, ალბათ მკითხველებს კვლავ წამოეჭრებათ კონკრეტული შეკითხვები, რომელთაც სიამოვნებით ვუპასუხებთ. რაც შეეხება ანდერძის ფორმას, შინაურული, დახურული და სანოტარო წესით მათი შედგენის წესსა და პირობებს, აღნიშნულის შესახებ შემდგომში მივაწვდით სრულყოფილ ინფორმაციას ჩვენი გაზეთის დაინტერესებულ მკითხველს.

**ირინე ღლონტი**

**გვეხმაურებიან**

# მოჩვენებითი „ფილოსოფია“ თუ რეალური სამშობლო?

ბ-ნი ომარ ხახაშვილი, ბელგიის მოქალაქე, „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერს: *„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოანე, 14,6ძ. ჩვენი პატრიოტები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მამასთან თუ ვერა, სამშობლოსთან უთუოდ მივლენ, უგზოდ და უჭეშმარიტებოდ. თუმცა, უკვე ხომ მივიდნენ... იქ, საიდანაც გამოსავალი აღარ არის“.* წერს აგრეთვე: *„ვინც სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტებას აყენებს, ინტელექტუალია“:* ნეგატიურ კონტექსტში – ანუ იმის გულისხმობით, რომ ავტორთა აზრს არ ეთანხმება, – სთავაზობს მკითხველს ჩემსა და ბ-ნ შოთა ნადირაშვილის ციტატებსაც. ჩემი ასე იკითხება: ***„პატრიოტიზმზე მაღალი დონე არ არსებობს, თუმცა მამარდაშვილს აქვს „აფორიზმი“, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლააო. ეს სისულელეა, რადგან ჭეშმარიტება და სამშობლო არათანაზომიერი საგნებია“ (ნოდარ ნათაძე)“*** . მოკლედ რომ ვთქვათ, ბ-ნი ხახაშვილი გამოთქვამს პრინციპულად კრიტიკულ (უფრო ზუსტად – ნიჰილისტურძ დამოკიდებულებას ქართული პატრიოტიზმის, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის იმ მონაკვეთისადმი (XIX-XXIძ, როცა ამ მოძრაობას მოწინააღმდეგედ (ყოველ შემთხვევაში – მთავარ მოწინააღმდეგედძ რუსეთი ჰყავს. ეს პოზიცია პასუხს საჭიროებს. არა იმიტომ, რომ პატრიოტობის ადგილს ღირებულებათა საყოველთაოდ აღიარებულ შკალაზე რაიმე ხიფათი ელის (არანაირი ხიფათი მას არ ელისძ, არამედ იმიტომ, რომ ხიფათი ემუქრება იმ საშუალო გონებრივი მონაცემების, საშუალოზე ნაკლები მონაცემების და (მეპატიოსძ საშუალოზე **ბევრად** ნაკლები მონაცემების ინდივიდების (მათ შორის –ახალგაზრდებისძ იმ ნაწილს, რომელიც **შეიძლება** აჰყვეს მათთვის უცხო მეცნიერული დარგის – ფილოსოფიის (უფრო ზუსტად – ფსევდოფილოსოფიისძ რახარუხიანი ფრაზების ხიბლს და პრაქტიკული დასკვნები გამოიტანოს თავისი მომავალი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში, სახელდობრ, შემდეგი:

**პირველი.** თუ სამშობლოს, როგორც ღირებულებას, არ დავთმობ, ინტელექტუალი არ ვიქნები.

**მეორე.** თუ სამშობლოს, როგორც ღირებულებას, დავთმობ, ინტელექტუალური ვიქნები (იგულისხმება: ვიქნები ყოველგვარი გარჯის და პრობლემებთან ჭიდილის გარეშეძ და, ამგვარად, კაცობრიობის ზედა ნახევარში აღმოვჩნდები, რომელსაც შეუძლია, სრული გულდამშვიდებით, ზემოდან გადმოჰყურებდეს მის ქვედა, არაინტელექტუალურ ნახევარს.

იმის განსაზღვრაში, თუ სახელდობრ **რით** უნდა გამოხატონ ამგვარმა „ინტელექტუალებმა“ ჭეშმარიტებისადმი ერთგულება სამშობლოს ხარჯზე, მათ კონსულტანტი არ მოაკლდებათ. მათ ეტყვიან (და ეუბნებიან კიდეცძ: ტერიტორიების დათმობაში, განათლების „ზედა“ ნაწილზე, სახელდობრ, ფუნდამენტური მეცნიერების სწავლაზე ხელის აღებაში, გაწუკითხავი იმიგრაციის დაშვებაში, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო მოქალაქეებზე გაყიდვაში და ა.შ. (ჩამონათვალი ძალიან გრძელიაძ. მე არ მაქვს იმის ამბიცია, რომ ხსენებულ „საშუალოებსა“ და „ქვესაშუალოებს“ ლექცია ან მით უმეტეს ნოტაცია შევკადრო იმაზე, თუ რა **არის** ერი, ეროვნული ინტერესი და ეროვნული სიამაყე – ანუ განვუმარტო, რომ ერი არის ადამიანთა ის **ერთადერთი** მაკროჯგუფი (სახელდობრ – ისტორიისა და მსოფლიო სისტემის მოქმედ პირად ყოფნის უნარით აღჭურვილი მაკროჯგუფიძ, რომელშიც ადამიანთა შეკავშირებულობა ემყარება ბუნებით ერთობასაც, ენასაც, ისტორიასაც, თავისუფალ არჩევანსაც (ის, რომ ერის ერთგულება გადავწყვიტე, ჩემი თავისუფალი არჩევანიაძ, მორალსაც და შთამომავლობის წინაშე მოვალეობასაც ერთსა და იმავე დროს და კიდევ მრავალ სხვა რამეს, რის გამოც მას, როგორც ადამიანთა ერთობის ფორმას, სხვა მაკროჯგუფთა შორის მეტოქე არ ჰყავს ძალისა და სიღრმის მხრივ და ვერც ოდესმე ეყოლება. დავკმაყოფილდები მხოლოდ იმის განმარტებით, თუ **რატომაა** (ფაქტორების რა კომბინაციითაა განპირობებულიძ, რომ **ინტენსიური ეროვნული ცნობიერება** და ასევე ინტენსიური (და, შესაბამისად, აქტივობისკენ მიმმართველიძ ცნობიერება ეროვნული მოვალეობისა და ღირსებისა კაცობრიობის **უკეთესი** ნაწილის (სავარაუდოდ – დაახლოებით ორი მესამედისძ კუთვნილებასა და თვისებას შეადგენს (უფრო ჭკვიანებისას, უფრო განათლებულებისას, უფრო თავმოყვარეებისას, უფრო ფხიანებისას, ბუნების მიერ უფრო ფართო თვალსაწიერით დასაჩუქრებულისას, ბუნებითვე უფრო აქტიურებისას და ა.შძ და არა, პირიქით, „არაინტელექტუალებისას“, როგორც ბ-ნ ხახაშვილს სწამს მ.მამარდაშვილის „ფილოსოფიური“ ფრაზის გავლენით. სათქმელს ჩამოვაყალიბებ რაც შეიძლება მოკლედ.

1. ადამიანს აქვს ის თვისება, რომ თავისი ღირებულებების დიდი ნაწილი (უფრო ზუსტად – თავისი **ძირითადი** ღირებულებებიძ თავის ტყავს გარეთ ებულება (ოჯახი, სამშობლო, შთამომავლობა საუკუნეებში, ხშირადღ – საქმე და ა.შძ, ანუ თავის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, კომფორტზე და მრავალ სხვა რამეზე წინ ჰყავს დაყენებული. ამ ტიპის ადამიანი (სხვა თანასწორ პირობებშიძ **უკეთესია,** ვიდრე თავის ტყავში ჩაკეტილი ეგოისტი. ამ მარტივ დებულებას, უეჭველია, ეთანხმება კაცობრიობის უდიდესი (და **უკეთესი**ძ ნაწილი.

ის ადამიანები, რომლებიც ინდივიდს თავისთავზე მეტად უღირან, და ის ამოცანები, რომლებსაც იგი თავის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს, არიან მისი ე.წ. „გაფართოებული მე“ და მისი პირველხარისხოვანი დაინტერესების სივრცე. ასეთი „მე“ და ასეთი „სივრცე“ აქვს ცხოველსაც თავისი შთამომავლობის ინტერესთა სახით.

2. ადამიანს (და ცხოველსძ აქვს თავდამკვიდრების მ[redacted]ება, რომელიც მოიცავს მის[redacted]რთოებული მეს“ დამკვიდ[redacted]

და ნების შესაბამისი ძალა, ანუ სწრაფვა და მოვალეობის შეგნება იმისათვის გასარჯელად, რომ მისი ერი **იყოს** (არ გაქრესძ, იყოს **პრინციპულად** სხვა მსგავსთა თანასწორი, იყოს მარადი, იყოს აღჭურვილი სათანადო საარსებო ბაზით (თავის მიწით უპირველს ყოვლისაძ და ა. შ.

– მას უნდა ჰქონდეს **საკმარისი** თვალსაწიერი, რათა თავის ერს ხედავდეს როგორც **ერს,** და არა მხოლოდ როგორც ადამიანთა მასას.

**ამიტომ** კითხვის დასმა „ამ თვისებათა მქონე ადამიანები, ყველა ერისა და ქვეყნისა, ანუ პატრიოტები უკეთესნი არიან თუ უარესნი ამ თვისებათა არმქონეებზე ანუ არაპატრიოტებზე?“ – თავისთავად გულისხმობს ცალსახა პასუხს: „პატრიოტი (მოწინააღმდეგის ტერმინოლოგიით – ნაციონალისტიძ თავისი ადამიანური ხარისხით **სჯობს** არაპატრიოტს, გულგრილს ერის მომავლის მიმართ, ეროვნული ნების არმქონეს და ვიწროჰორიზონტიანს, რომელიც, ვთქვათ, ადამიანის ადამიანურ მოთხოვნილებებად და, შესაბამისად, უფლებებად მხოლოდ კეთილდღეობისა და სოციალური დაცულობის ინტერესებს ხედავს“.

– სხვა სიტყვებით (უფრო მარტივად და მკაფიოდძ: კაცი პატრიოტია (ჩვენი მოწინააღმდეგეების ტერმინოლოგიით: ნაციონალისტიაძ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აძ არაეგოისტია, ბძ თავდამკვიდრების „ძარღვი“ აქვს ან ცდილობს, რომ ჰქონდეს (თავმოყვარეობით, გამბედაობით და ა.შძ და გძ **საკმარისად** თვალღიაა მსოფლიოსა და მისი ისტორიის მიმა-

[redacted]

ვლით. ამიტომაცაა, რომ **ბუნებრივი ნორმალური ადამიანი,** ისწრაფის არა საკუთარი თავისა და საკუთარი „გაფართოებული მეს“ **უსასრულო** გაფართოებისკენ სხვათა ხარჯზე, არამედ სამართლიანი ურთიერთობებისაკენ (ეროვნულის ჩათვლითძ და მშვიდობისაკენ **სამართლიანობის** საფუძველზე. როგორც ინდივიდთა შორის, ისე ერთა შორის.

ახლა – რაც შეეხება ჭეშმარიტებას და მასზე საეჭვო სიბრძნეთა მფრქვეველ „ფილოსოფიას“. განვუმარტავ ბ-ნ სახაშვილს მის მიერ ციტირებულ ჩემს ოცი წლის წინანდელ სიტყვებს. დიახ, „სამშობლოს“ და „ჭეშმარიტების“ შედარება „სიმაღლის“ მიხედვით სრული უაზრობაა მათი არათანაზომიერობის გამო, ისევე, როგორც არათანაზომიერია „კვერცხი“ და „პითაგორას თეორემა“ ან „შექსპირის სონეტი“ და „ბურვაკი“. ეს ასეა, თუ მიზნად გვაქვს ამ საგანთა წყობილებაში დაყენება სიმაღლის მიხედვით – შერენგად ან კოლონად. ამ საგნებს შესადარებლად საერთო პარამეტრს ვერ მოუნახავთ. ხოლო თუ ამ ცნებას – „სიმაღლეს“ – მეტაფორად ხმარობთ და ამ მეტაფორის გახსნა გინდათ, მაშინ უნდა თქვათ: „ჭეშმარიტების თქმა უფრო მძლავრი მოვალეობაა, ვიდრე სამშობლოს გადარჩენა (ან: დაცვა, ან: მისი პრესტიჟის ამაღლება, ან: ფეხბურთის მატჩში მისი წარმატება და ა.შძ“. შემოგეპასუხებიან: „რომელი ჭეშმარიტებისა? იმისა, რომ მტკვა-

[redacted]

„ეროვნული ინტერესიც პიროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური მაღალი ინტერესია, რომელიც არც ერთ სხვაზე არ დახურდავდება, და მისი რეალიზაცია ერთ-ერთი უმაღლესი ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. ეს ადამიანური სიმართლე არც ერთ სხვა ადამიანურ სიმართლეზე ნაკლებად დამავალდებულებელი არ არის და ვერ იქნება. მისი დაცვა, როგორც მორალური მცნება, ერთ-ერთი – არც ერთ სხვაზე არა ნაკლებ მავალდებულებელი – ფორმაა ადამიანური სიმართლის დაცვისა“.

* * *

რაკი ამ არასერიოზულ კონტექსტში სიტყვა „ფილოსოფია“ გაერია, მის დასაცავადაც ორიოდე სიტყვა გვმართებს. ფილოსოფოსობა (ფილოსოფიური მსჯელობა, დისკურსიძ ნიშნავს ან ამ დარგისათვის ახალი პრობლემის აღძვრას, ან ძველის გადაჭრას, ან მისთვის „პრო“ და „კონტრა“ ახალი არგუმენტის პოვნას, ან, თუ თქვენს ამბიციას ფილოსოფიის **ისტორიით** შემოსაზღვრავთ, მისი განვითარების პროცესში რაღაც მანამდე ვერშენიშნული კავშირის, გავლენის, მინიშნების შემჩნევას მაინც. მ. მამარდაშვილის გამოსვლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც რამდენიმე წელიწადს მასთან ერთდროულად სამსახურმა მომიწია, მე მისი მხრიდან ამ სახის სპეციფიკურად ფილოსოფიური ნაბიჯები (მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ – ფილოსოფიურ პრობლემებთან **შეჭიდება**ძ არ მახსოვს (და, მე მგონი, არც ვისმე სხვას ინსტიტუტის კოლექტივიდან, რომელიც იმ დროს ძალიან კვალიფიციური იყო და უხვი ნიჭით ბრწყინავდაძ. მ. მამარდაშვილის უდავოდ ინტენსიური ხიბლი ფართო აუდიტორიის თვალში, ჩემი შეხედულებით, იმას ემყარებოდა, რომ ორატორი მსმენელს საამო განცდას უქმნიდა, თითქოს ეს უკანასკნელი მონაწილეა ფილოსოფიური დისკურსისა (მსჯელობისა, განხილვისაძ იმის წყალობით, რომ თავისი თვალით ხედავს და თავისი ყურით ესმის (ესმის **ავტორიტეტული, პროფესიული** წყაროდანძ, რომ სინამდვილის ყოველდღიურ მოვლენებს თავ-თავისი ფილოსოფიური ასპექტი ჰქონია – რომ, ვთქვათ, თბილისში „ანდროპოვის ყურების“ აღმართვა არქიტექტორის ტლუ გემოვნების ნაყოფი კი არ ყოფილა მხოლოდ, არამედ ღირებულებათა გონივრული წესისა და გონივრული შკალის შელახვაც, ან რომ ციმბირის მდინარეთა გადმოგდება შუა აზიისკენ პროექტის ავტორთა მოუსაზრებლობის შედეგი კი არ ყოფილა (ყოფილა თუ არა სინამდვილეში, ახლაც არ ვიციძ, არამედ ადამიანის და ბუნების ურთიერთობის პრინციპთა შელახვაც. მართალი გითხრათ, გამეცინა, როცა ჩემი ამ შთაბეჭდილების (სტამბურად გამოქვეყნებულისძ დადასტურებას, ჩემგან დამოუკიდებელს, მოულოდნელად წავაწყდი ინტერნეტში ქართველი კინომცოდნის გ.გვახარიას ხელმოწერით: ავტორი წერს, რომ მ. მამარდაშვილი, რომელსაც „შეეძლო ყველა ვითარებისთვის ფილოსოფიური კუთხით შეხედვა“, მას თავისი გამოსვლებით ანიჭებდა სიმაღლეებში „ლივლივის“ საამო განცდას. ძალიან კარგი! ბატონ გვახარიას მხოლოდ ის ფაქტი დარჩა უცნობი, რომ ის საფრენი აპარატი, რომლითაც იგი „ლივლივებდა“, ფილოსოფია არ იყო. ეს იყო ჰაერის ბუშტი, რომლის თხელი აპკის გასაგლეჯად ბეღურის ფრთის შეხებაც იკმარებდაძ.

„საქართველოს რესპუბ[redacted]
დაქციისადმი მადლობასთ[redacted]
იმის გამო, რომ ნომერში ად[redacted]
ცა პასუხისათვის, მინდა გ[redacted]
სურვილი, რომ გაზეთის ფ[redacted]
ნიჭიერი მკითხველი, პირვე[redacted]
ახალგაზრდა არ შეუშინდ[redacted]
ბედულ, საკუთარ გონებაზ[redacted]
ნობილ აზროვნებას იმ თემ[redacted]
ლებიც უღირს, არც **პატრი**[redacted]
გამომდინარე უდიდეს ტვი[redacted]
გან **ამ** ტვირთის ზიდვა კაც[redacted]
უკეთეს ნაწილში ყოფნის [redacted]
„ვე[redacted]ოსანში“ წერია[redacted]
ყველ[redacted]ა, დიდი ძეს კაც[redacted]
დის“[redacted]ამიანები თანა[redacted]



[redacted]

**საქართველოს რესპუბლიკა**

SIC!

# კლანური მმართველობა კახეთში

**კახეთის რეგიონის საჯარო სამსახურებში შექმნილი კლანური მმართველობის შესახებ ადგილობრივ მედიასაშუალებებში ინტენსიურად იწერება. როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებშია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათ არც დანარჩენი თვითმმართველობები ჩამორჩება.**

მაგალითად, დოკუმენტებით დასტურდება, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა მაისურაძეს გამგეობაში ნათესავები ჰყავს დასაქმებული. ახმეტის გამგებელი მისივე მოადგილის ვაჟა ნასყიდაშვილის მეჯვარეა; გამგებლის თანაშემწე - გიორგი მაისურაძე კობა მაისურაძის ბიძაშვილია; გამგებლის ბიძაშვილია მისი მძღოლიც - ბესო მაისურაძე; გამგებლის მდივანი ნინო მაილაშვილი კობა მაისურაძის ბიძაშვილის შვილია. როგორც ჩანს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რეგიონებიდან არ აწვდიან შესაბამის ინფორმაციებს, თორემ ასე თამამად არ განუცხადებდა რუს ჟურნალისტებს, რომ მისმა ხელისუფლებამ დაძლია ქართველების გენეტიკური თვისება ნეპოტიზმი – ნათესავების აღზევება თანამდებობებზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შექმნილი მდგომარეობა პირდაპირ აისახება ადგილობრივ ანეკდოტებში. რაიონის საკრებულოს პირველ პირად ლევან ბალაშვილის მოსვლის შემდგომ მისი ნათესავების გარდა, მეგობრები და ახლობლებიც ქუჩიდან პირდაპირ ხელმძღვანელი პირების სავარძლებზე აღმოჩნდნენ. მართალია, ბალაშვილი ახლაც ამტკიცებს, რომ მისი ოჯახის წევრი თანამდებობაზე ვერ დაინიშნება, მაგრამ მისი საძმაკაცოდან დაუსაქმებელი ნამდვილად აღარავინ დარჩენილა...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბალაშვილის ხელმძღვანლად მოსვლის შემდეგ აქცენტი არა პიროვნების განათლებასა და მის გამოცდილებაზე, არამედ ბალაშვილის შეხედულებებსა და პირად დამოკიდებულებაზე კეთდება... ამიტომ, ამ რაიონში ყველა აღიარებს ტენდენციას, რომ ხელმძღვანელი პირების სავარძლები სრულიად გამოუცდელი ადამიანების ხელში აღმოჩნდა.

გამგეობის კულუარებში დღესაც ბევრს საუბრობენ, რომ ბალაშვილს ზოგიერთი მათგანი ბუტაფორიულად ჰყავს გაფორმებული, გადაწყვეტილებების მიმღები კი თავად გახლავთ... გამოუცდელი კადრების ხელმძღვანელებად დანიშვნას ბევრი სწორედ იმით ხსნის, რომ ისინი ადვილად სამართავები არიან.

ალბათ სწორედ ამიტომაა, რომ დედოფლისწყაროში ბევრი მიიჩნევს, რომ სამსახურის ხელმძღვანელების უმრავლესობა მხოლოდ ფურცელზე დაწერილი გვარი და სახელია და მეტი არაფერი... ამბობენ იმასაც, რომ მათი უმრავლესობა საკუთარი პოზიციის გამოხატვას ვერ ახერხებს...

შემიძლია დაგისახელოთ რამდენიმე მაგალითი: ბალაშვილის მეგობარი დავით ჯიბლაშვილი ქუჩიდან პირდაპირ გამგეობის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსად დანიშნეს, მისი ძმა ალექსანდრე ჯიბლაშვილი კი – გამგეობის საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსად. მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრს სათავეში ასევე ლევან ბალაშვილის მეგობარი თამაზ კირვალიძე ჩაუდგა. დედოფლისწყაროში ასევე მეგობრული პრინციპით შეირჩა გამგეობის აპარატის უფროსიც. მარინე მეხრიშვილი, რომელიც ათეულობით წლების განმავლობაში ამ თანამდებობაზე მუშაობდა და ამ სისტემაში ერთ-ერთ საუკეთესო კადრად მიიჩნეოდა, თვითმმართველ ორგანოს სწორედ ბალაშვილის წყალობით ჩამოშორდა. გამგებლად დანიშნულმა ლევან ბალაშვილმა პირველივე დღეებში აპარატის უფროსად თავისი მეგობარი ალექსანდრე ალუღიშვილი დასვა. ალუღიშვილის ოჯახი დედოფლისწყაროში პურის ბიზნესს აკონტროლებს. დედოფლისწყაროში მოქმედი თონეების დიდ ნაწილს ალუღიშვილის მამა კურირებს. ორიოდე თვის წინათ ალექსანდრე ალუღიშვილი აპარატის უფროსობიდან გამგებლის მოადგილის პოსტზე გადაიყვანეს.

ზემოთ ჩამოთვლილი კადრები საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობით არასდროს გამოირჩეოდნენ, შეიძლება ითქვას, არსად ჩანდნენ. ხელმძღვანელი პირების სავარძლები მათ ლევან ბალაშვილის მოსვლის შემდეგ უმალ



„ფეშქაშად“ მიიღეს... ყოველგვარი გამოცდილებისა და კომპეტენციის გარეშე... სწორედ ამგვარ მიდგომას აპროტესტებენ ადგილობრივები და ბალაშვილის მცდარ ნაბიჯად მიიჩნევენ.

დასაწყისში ნათესავებისა და ოჯახის წევრების დასაქმებაზე ვსაუბრობდით. ვახსენეთ ლევან ბალაშვილის მყარი პოზიციაც... ჟურნალისტებთან საუბარში ის მუდმივად აპელირებს, რომ მისი ოჯახის წევრებს თანამდებობაზე ვერ ნახავთ.

მართალია პირდაპირი წესით საჯარო სამსახურში ბალაშვილის ოჯახის წევრები არ დასაქმებულან, მაგრამ მსხვილშემოსავლიანი სამსახურები ბატონმა ლევანმა თავის სანათესაოსაც ჩამოურიგა.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომრის ძმა მამუკა ბალაშვილი უცხოური ორგანიზაციების მიერ დედოფლისწყაროში დაფინანსებულ სხვადასხვა სამუშაოებს აქტიურად კურირებს. საქმეში ჩახედული ადამიანები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ძმა ამგვარ სამუშაოებში ფინანსურ მხარესაც განკარგავს...

ლევან ბალაშვილის დედა თამარ ბალაშვილი უკვე რამდენიმე წელია დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს ხელმძღვანელობს... მუნიციპალიტეტის განათლების სისტემაში სწორედ ახლახან დასაქმდა ლევან ბალაშვილის ძმის ცოლი თამარ აბულაშვილიც...

ადვილად დასამტკიცებელია ისიც, რომ ახლად დაკომპლექტებული საკრებულოც ბალაშვილმა პირადი ინტერესებით შეავსო. სხვადასხვა მოსაზრება ვრცელდება საკრებულოს აპარატის უფროს – ხათუნა გონაშვილის, იურისტ – მიხეილ ბიკაშვილის და სხვათა შერჩევის გზების შესახებ...

ამ ყველაფრის შემდეგ ძალზე საინტერესო გახლავთ კახეთის გუბერნიის პოზიცია.

„გამგებელს უფლება აქვს მძღოლი და მდივანი თვითონ შეარჩიოს, ვისაც ენდობა. გადავამოწმებთ და კანონის ფარგლებში თვითმმართველობას მივცემთ რეკომენდაციას“, – განაცხადა კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა.

– ბატონო გიორგი, რამდენად მისაღებია თქვენთვის ის ფაქტი, რომ გამგებლის ამდენი ნათესავი მუშაობს გამგეობაში?

– როცა ინფორმაციას გადავამოწმებ და მის მასშტაბებს გავარკვევ, კომენტარს მერე გავაკეთებ, – ასეთი კომენტარი ვიცეგუბერნატორმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისა გააკეთა. კომენტარიდან აშკარაა, რომ სამხარეო ადმინისტრაცია ამ ფაქტების დაწვრილებით შესწავლას გეგმავს. ვნახოთ, რა რეაგირებას მოახდენს გუბერნია მუნიციპალიტეტებში არსებულ კლანურ მმართველობაზე და დაუქნევენ თუ არა თითს თელავიდან გამგებლებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებს.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
კახეთიდან

მიტოვებული სოფელი...

# „ღმერთს ებარებოდეთო“...

**ეს დალოცვა გაგახსენდებათ, ამ სოფლის დღევანდელობას რომ გაეცნობით. ამ დროს ყველასაგან მივიწყებული სოფელი ყველას თვალწინაა: საქართველოს მთავარ მაგისტრალზე, დედაქალაქიდან მხოლოდ 45 კილომეტრით, გუბერნიის ცენტრ გორიდან – 25 და კასპიდან 9 კილომეტრითაა დაშორებული.**

რატომაა მივიწყებული სოფელი იგოეთი, სადაც სამასამდე კომლი, ექვსასამდე ამომრჩეველი ცხოვრობს?

ქართულ სოფელს ენაკვიმატი კაცი არასოდეს აკლდა, ახლაც ენაკვიმატმა იხუმრა: „იგოეთი ავტობანის მშენებლობისას აღმოაჩინეს, მსოფლიოს აქ დამარხული ძველი წელთაღრიცხვის უნიკალური საგანძური გააცვნეს და ისევ დახურესო“.

მართლაც მთელი მსოფლიო გააოცა სამარხში მოპოვებულმა 2400 წლით დათარიღებულმა ოქროს დისკომ.

ასეთი აჟიოტაჟი წლეულს ავტობანის მშენებლობისას ატყდა...

სოფელ იგოეთზე გადის საქართველოს ცენტრალური ავტომაგისტრალი. სოფელ იგოეთზე გადის გაზის მაგისტრალი, რომელიც მეზობელ სოფლებს ამარაგებს, სოფელ იგოეთზე გადის წყალსადენი, რომელიც კასპს ასაზრდოებს. სოფელ იგოეთშია „წითელი საყდარი“, რომლის გავლისას თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელი ტრადიციულაჟდ ხურდა ფულს ყრის – გზის დასალოცად.

სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ იგოეთში იყო: ფოსტა, კლუბი, სტადიონი, სასმელ-სარწყავი წყალი, საბავშვო ბაღი, სკოლა, ბიბლიოთეკა და ელექტროსადგური, სავაჭრო ცენტრი და საზკვების ობიექტები. სოფელს ჰყავდა ცნობილი სპორტსმენები, საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. სოფელი ახალგაზრდებითა და სიცოცხლის იყო სავსე.

შემდეგ...

დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე აქ ყველაფერი აირია... უფრო სწორად, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ. თუმცა, პატრონობით არც ადრე იყო მთლად სახარბიელოდ საქმე. სოფელი იგოეთი მაშინაც და ახლაც ოკამის სასოფლო საბჭოს, ახლა საკრებულოს, ექვემდებარება. საკრებულო ხუთი კილომეტრითაა დაშორებული. არც ისინი იკლავენ თავს სოფლის პატრონობით და ვერც იგოეთლები ახერხებენ იქ ჩასვლას.

სულ მალე დაანგრიეს და აგურ-აგურ გაზიდეს კლუბიც, ბიბლიოთეკაც. მთლიანად გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს ფოსტა. გაიყიდა ელექტროსადგური, მოიშალა სასმელი და სარწყავი წყლის მაგისტრალები. იგოეთლებს გაზი არც მაშინ ჰქონდათ და არც ახლა აქვთ.

საშინელი განუკითხაობაა ელექტრომომარაგებაში, რაც, ალბათ ყველაზე მეტად ენერგეტიკოსებს უფრო უნდა აძლევდეთ ხელს. ამიტომ ხშირად აწყობენ ეგზეკუციებს – ვერ იქნა და ვერ ამოვიდა ვალებიდან სოფლის მოსახლეობა.

აქ ასეთი სისტემაა დაკანონებული, უბანს ჰყავს ინკასატორი, ინკასატორს რამდენიმე მოხალისე – ხალხიდან გამოყოფილი. ელექტროენერგიის დანახარჯი ყოველმა უბანმა უნდა ჩააბაროს ინკასატორს, ინკასატორმა – ბანკს. აქ იწყება ყველაფერი: ავკრიფე – ჩავაბარე, მაგრამ შემდეგ ჩნდება რომ გარღვევაა. გარღვევა კი დავალიანებას ნიშნავს – სოფლის მრიცხველის საერთო მაჩვენებელი სხვა სურათს უჩვენებს, ინდივიდუალური მაჩვენებლებიდან აკრეფილი ჯამი სხვაა. ენერგეტიკოსები იწყებენ დამსჯელ ექსპედიციას – გამორთავენ შუქს. პირნათელი აბონენტი წუხს – ფული გადახდილი მაქვსო. მაგრამ ენერგეტიკოსი შეუვალია – თუ გადაიხადე, მიჩვენე ქვითარიო. საქმეც ეს არის: რა ქვითარი, რის ქვითარი – უნახავს ვინმეს? არავინ იცის რა მიიტანა ინკასატორმა ბანკში. სოფელი იწყებს ფულის დამატებით აკრეფას.

მალე აღმოჩნდება, რომ თურმე ძველი დავალიანება კიდევ ყოფილა.

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ამა წლის მარტში ფერადი შეტყობინებები ჩამოარიგა მოსახლეობაში, რომ მათ დავალიანება ერიცხებათ და ადმინისტრაცია აბონენტს აცნობებს, „რომ სასამართლო დავის წარმართვის შემთხვევაში, სადავო თანხას დაემატება სასამართლო და სააღმსრულებლო წარმოების ხარჯები“. არც მეტი და არც ნაკლები – ვერდიქტი „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ ადმინისტრაციამ გამოიტანა. აქვე აღვნიშნავთ, რომ კასპში იგოეთლებს პირდაპირ უთხრეს – სადაც და ვისთანაც გინდათ, იქ გვიჩივლეთო.

რა ქნან იგოეთლებმა, როგორ დაიხსნან თავი?

იგოეთზე გადის ცნობილი ავტობანი, რომელმაც იგოეთი თითქმის მოწყვიტა გარესამყაროს – ავტობანიდან იგოეთში და კასპში გადასასვლელი გზა დანგრეული და ძნელად გასავლელია.



კასპში ახლა მიმოსვლა გაძნელებულია. თუ სამარშრუტო ტაქსს გაყვები, იქით-აქეთ ორი ლარი, ისე ტაქსი კი 5 ლარი ღირს. მიმოსვლის სხვა საშუალება არ არის. არადა, კასპამდე ცხრა კილომეტრია.

ამბობენ მალე სკოლასაც დაკეტავენო, სოფელში ასამდე მოსწავლე და 22 მასწავლებელია. არადა, სკოლის შენობა გარედან მტერს უზრმავებს თვალს – მეტალოპლასტმასის ფანჯრები, თუნუქის ახალი გადახურვა, ოღონდ შიგ საცოდავი სანახავია – გაპარტახებულია.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის“... გულნაკლულ დავით გურამიშვილს უთქვამს.

იგოეთშიც ძნელია დათვალოთ გაჭირვება და პრობლემა. არადა, რა ახლოა დედაქალაქიდან, გუბერნიის ცენტრიდან და რაიონული ხელმძღვანელობიდან.

ნუთუ ვერავინ ხედავს, არავის ადარდებს, თუ არ უნდათ დაინახონ?

„...წლეულს იგოეთში გათხრებისას 35 ათასი ძვირფასი ექსპონატი აღმოაჩინეს, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის VIII-I საუკუნეებით თარიღდება. ამ პატარა მონაკვეთზეც კი მკაფიოდ არის ასახული თითქმის ყველა ის პირობა, რაც უნდა ახლდეს სახელმწიფოებრივ განვითარებას სოციალური კლასიფიკაციის სახით“ – წერდნენ გაზეთები. იგოეთი ასეთი გაიცნო მსოფლიომ. შეიძლება დღეს, ასეთ თვალსაჩინო ადგილას იყოს ყველასაგან მივიწყებული სოფელი?

იმ პერიოდში, როცა ტელეეკრანებზე გადიოდა კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა: „ჩემი მატარებელი სოხუმში მიდის, ვისაც არ სურს გამომყვეს, შეუძლია კასპში დარჩესო“.

რა ვქნათ? ვიყოთ ღმერთის იმედად?

„ღმერთს ებარებოდეთო!!!“ – ვუთხრათ იგოეთლებს?

**თენგიზ შველიძე**

# კონკურსი

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების, მეცნიერი თანამშრომლების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

- **კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)
- **წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)
- **არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)
- **ფონდების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)
- **გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)
- **საბიბლიოთეკო დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
  მეცნიერი თანამშრომელი (ხელფასი – 470 ლარი)

2. კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტების ხელმძღვანელების თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

3. არქივთმცოდნეობისა და ფონდების მართვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

4. გამოფენისა და განათლებისა და საბიბლიოთეკო დეპარტამენტების ხელმძღვანელის თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ან არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა – ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან);

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს;

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია (სასურველია).

6. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად კონკურსს ჩაატარებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

7. სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

- **არქივთმცოდნეობის დეპარტამენტი**
  არქივარიუსი, მეცნიერი თანამშრომელი, 6 საშტატო ერთეული ( ხელფასი – 360 ლ.)
- **ფონდების მართვის დეპარტამენტი**
  ფონდის მცველი, მეცნიერი თანამშრომელი, 3 საშტატო ერთეული ( ხელფასი – 460 ლ.)
- **საბიბლიოთეკო დეპარტამენტი**
  ბიბლიოგრაფი, მეცნიერი თანამშრომელი, 2 საშტატო ერთეული ( ხელფასი – 360 ლ.)
- **რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორია**
  რესტავრატორი, მეცნიერი თანამშრომელი, 2 საშტატო ერთეული ( ხელფასი – 360 ლ.)

2. საკონკურსო თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან არის დოქტორანტი.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ. ავტობიოგრაფია (CV);

გ. დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან);

დ. 2006–2010 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე. 2006–2010 წლებში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის ორიგინალი ან ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;

ვ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელიც შეასრულა განმცხადებელმა 2006-2010 წლებში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

ზ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

თ. შესაბამისი დარგის 3 სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი), რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს;

4. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას კონკურსანტებთან.

5. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

**საბუთების მიღება იწარმოებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მისამართი:**
**მ. ალექსიძის 1/3, 0193 თბილისი;**
**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა**
**2010 წლის 17 დეკემბერი, 18 სთ;**
**კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრისა;**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3;**
**ტელ.: 36-40-94, ფაქსი: 36-32-41;**
**ვებ-გვერდი: www.manuscript.ge; ელ-ფოსტა: info@manuscript.ac.ge**
**პასუხისმგებელი პირი: ნინო სიბოშვილი.**

ილიაობა



# პრემია „საგურამოს" ახალი ლაურეატები

**საგურამომ მერვედ უმასპინძლა ილიაობას. დიდი მწერლის დაბადებიდან 173-ე წლისთავზე ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ილიაობა სისტემატურად 2003 წლის 8 ნოემბრიდან აღინიშნება, როდესაც აქ წმინდა ილია მართლის ტაძარი აკურთხეს და ცნობილი ხდებიან პრემია „საგურამოს" ლაურეატები.**

წლეულსაც მიგვიხმო ტაძარმა ილიას სავანეში და ახალი ლაურეატები გამოვლინდნენ. პრემია „საგურამო" და ილია ჭავჭავაძის სიგელი კულტურის შვიდ მოღვაწეს გადაეცა. ესენი არიან: ნომინაციაში **„პროზა" – ოტია იოსელიანი; „პოეზია" – მანანა ჩიტიშვილი, ტარიელ ხარხელაური; „კრიტიკა" - მაკა ჯოხაძე; „თარგმანი" – თამარ კოტრიკაძე; „ჰუმანიტარული მეცნიერება" – ნოდარ ტაბიძე; „ხელოვნება" – მომღერალი ზაურ ბოლქვაძე.**

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმს და ილიას საქველმოქმედო ფონდს ერთი საგულისხმო ნომინაციაც აქვს – **სულიერებასა და კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის** ყოველწლიურად ერთი ადამიანი ჯილდოვდება. წლეულს ეს პრემია წილად ერგო ბატონ **მერაბ ბერძენიშვილს.** ხოლო მანამდე ეს საპატიო ჯილდო მიიღეს: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რობერტ სტურუამ, ანა კალანდაძემ, თამაზ ჩხენკელმა, ოთარ ჩხეიძემ.

ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედუკაძის თქმით, ილიაობა საგურამოში წელიწადში ორჯერ: 8 ნოემბერს – დიდი მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების ტრაგიკულ დღეს – 12 სექტემბერს აღინიშნება.

ამაზე დიდი ჯილდო ჩვენთვის არ არსებობსო, ამბობდნენ ლაურეატები. ისინი მადლობას სწირავდნენ ამ პრემიის დამაარსებელთ დიდი ილიას სახელის უკვდავყოფისათვის.

**თამარ შაიშმელაშვილი**
**თამარ ყალიჩავას ფოტო**



ინფორმაცია

## ყვარლელ ექიმს ლიცენზიას შეუჩერებენ

**ექიმთა საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 36 წლის გოჩა ბაბლუმაშვილის გარდაცვალების საქმის განხილვა დაასრულა.**

**დასკვნა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, დადგინდა, რომ პაციენტის გარდაცვალება მედიკოსის შეცდომამ გამოიწვია.**

**საუბარია, ექიმ ლალი ბურკიაშვილის მიერ გოჩა ბაბლუმაშვილისთვის მედიკამენტის წინასწარი სინჯის გარეშე გაკეთებაზე. აღნიშნული კი 36 წლის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი გახდა.**

**ყვარლის საავადმყოფოს ექიმ ლალი ბურკიაშვილისთვის ლიცენზიის შეჩერების საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების ცენტრი იმსჯელებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რეტრო**

# არ შემდგარი „ძლევაი საკვირველი“

**ქართული ფეხბურთის ისტორიაში ბევრი სახელოვანი ფურცელია ჩაწერილი, რომელთა ავტორი თუ შემოქმედი, მხოლოდ თბილისის დინამოა, მის უმაღლეს მწვერვალად სამართლიანად ითვლება 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფი დიუსელდორფში, როდესაც საქართველოს უპირველესმა გუნდმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, რითაც მაშინდელ საბჭოეთში კიეველი თანაკლუბელების მიღწევა გაიმეორა.**

თუმცა, მოდით ვაღიაროთ, რომ ის ევროპული ტურნირი, თავისი მნიშვნელობით, გნებავთ „წონით“, მხოლოდ მესამე იყო, რადგანაც მაშინ თასების თასის გარდა, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს, უეფას თასის გათამაშება და ევროპული კი არა, მსოფლიო მასშტაბით დღესაც უპირველესი საკლუბო ტურნირი, ევროპის ჩემპიონთა თასიც, დღეს რომ ჩემპიონთა ლიგა ჰქვია, ტარდებოდა, რომლის მოგების რეალური შანსი თბილისის დინამომ დიუსელდორფამდე ორი წლით ადრე ვერ გამოიყენა.

**საერთოდ ყველაფერში და მით უმეტეს ფეხბურთში, ისეთი სიტყვები, როგორებიც არის: ასე რომ ყოფილიყო, ან პირიქით, ისე რომ არ ყოფილიყო, უსარგებლო რამ არის, მაგრამ მოდით, გავიხსენოთ რა და როგორ იყო ზუსტად 31 წლის წინათ. საერთოდ ოცნება მომავალ დროს გულისხმობს, მაგრამ ჩვენ, მოდით, წარსულ დროში ვიოცნებოთ, როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო.**

1978 წელს, თბილისის დინამოს მეოთხე თაობამ, სსრკ ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვა, რითაც 1964 წლის „ოქროს ბიჭების“ ტაშკენტის ტრიუმფი გაიმეორა. მანამდე კი, 1976 წლის 3 სექტემბერს, ნოდარ ახალკაცის დამოძღვრილმა დინამომ სსრკ თასიც მოიგო, რაც არც მანამდე და არც მას შემდეგ, ვერც ერთმა თაობამ ვერ შეძლო.

თბილისის დინამოს გულშემატკივარი, უკვე ევროპულ წარმატებას ითხოვდა საყვარელი გუნდისგან და 1979 წლის შემოდგომაზე მთელი საქართველო ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყების მოლოდინში გაინაბა, მაგრამ ბედი არ გინდა? პირველივე ეტაპზე წილისყრამ, წინა ორი წლის ამ ტურნირის გამარჯვებული ინგლისის „ლივერპული“ გვარგუნა.

მაშინ სკეპტიკოსებმა, რომლებიც აშკარა უმცირესობაში იყვნენ, რომ იტყვიან, ხელი ჩაიქნიეს. დანარჩენები კი იმედიანად, თუმცა ამ სკეპტიკოსთა გამო, მაინც გარკვეული შიშით ველოდით პირველ მატჩს, რომელიც დინამოს სტუმრად უნდა ჩაეტარებინა.



ჰამბურგი-დინამო. 1979 წ. 24 ოქტომბერი.
წამიც და „ყიფო“ ანგარიშს გახსნის

ეს დღეც დადგა, მაგრამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის წინ თავზარდამცემი ამბავი გავრცელდა – ტელეტრანსლაცია არ იქნებოდა ამ მატჩის, იქაური ტელეკომპანიის გაფიცვის გამო(???ძ. ასე გამოგვიცხადეს, რაც შემდეგ გაირკვა, რომ მტკნარი სიცრუე ყოფილა.

ასე იყო თუ ისე, ის შეხვედრა შედგა, რომელიც 2:1 წავაგეთ, მაგრამ როგორც გავიგეთ, დინამოს თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი უთამაშია, სადაც მოგებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით.

საპასუხო ბრძოლას კი უკვე მთელი საქართველო გამარჯვების შინაგანი რწმენით ველოდებოდით და ის დღეც დადგა – გვიანი შემოდგომის ცივი, წვიმიანი საღამოს მიუხედავად, მაშინ ვ. ი. ლენინის სახელობის დინამოს სტადიონი პირთამდე გაივსო და...

პერიპეტიებზე საუბარს აქ არ დავიწყებ, რადგანაც მაშინაც და მას მერეც, ბევრჯერ გვინახავს არა მარტო ჩვენ, ვინც იმ მატჩს სტადიონზე ვუყურეთ, არამედ იმათაც, ვინც იმ დროს დაბადებულიც არ იყო.

**მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ სპეციალისტთა აზრით, არც მანამდე და არც მას შემდეგ თბილისში ლივერპულისდარი სიძლიერის გუნდი არ ჩამოსულა, რომელიც ჩვენმა ბიჭებმა 3:0 გაანადგურეს.**



დინამო-ლივერპული. 1979 წ. 3 ოქტომბერი

მოვდიოდით სტადიონიდან გალუმპულები, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერები – ვერც სისველეს ვგრძნობდით და ვერც სიცივეს. უკვე სერიოზულად არა თუ ვოცნებობდით, არამედ საფუძვლიანად ვფიქრობდით, რომ ჩემპიონთა თასის მოგება შეგვეძლო – ვინღა დარჩა როო? ერთმანეთს იმედიანად ვეკითხებოდით, ერთი ჰამბურგია, რა! ჰოდა, სწორედ ეს „ერთი ჰამბურგი“ გვარგუნა ბედმა შემდეგ მეტოქედ – პირველი მატჩი ისევ სტუმრად უნდა გვეთამაშა, რაზედაც ლივერპულისგან განსხვავებით უფრო დაწვრილებით შევჩერდები.

**იმ ღამეს მთელი საქართველო ტელეეკრანებს იყო მიჯაჭვული, ხუმრობა ხომ არ იყო – „იქით“, მაშინ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ოქროს ბურთის მფლობელის კევინ კიგანის მეთაურობით. სხვა მეგა ვარსკვლავები: ჰორსტ ხრუბეში, ფელიქს მაგატი, მანფრედ კალცი და ა. შ. რომელთა მყვირალა, რეკლამირებული სახელები ოდნავადაც არ გვაშინებდა ქართველ „ბალელშჩიკებს“, რადგანაც „აქეთ“ დიდი ყიფოს მეთაურობით, მართალია ჰამბურგისგან განსხვავებით ნაკლებად გაპიარებული, მაგრამ არანაკლები ვარსკვლავები გვყავდა: საშა ჩივაძე თუ რამაზ შენგელია, მანუჩარ მაჩაიძე თუ ტუხა ქორიძე, თენგიზ სულაქველიძე თუ ვოვა გუცაევი, ვიტალი დარასელია თუ ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა თუ შოთა ხინჩაგაშვილი და ა. შ.**

თუმცა რაღა „და ა. შ.“ ლამის მთელი გუნდი ჩამოვთვალე და ასეც იყო – მაშინდელ დინამოში თითქმის ყველა, მეტნაკლები სიდიდის და სიკაშკაშის, მაგრამ უდავოდ ვარსკვლავი იყო.

დაიწყო თამაში და მახსოვს, რომ ტელევიზორთან ნერვიულობისგან მუხლები კი არ მიკანკალებდა, მიხტოდა. ნეტავ ამ გრძნობას ოდესმე განიცდიან დღევანდელი „ბალელშჩიკები“? ვეჭვობ, რომ ვერა, რადგანაც დღეს ისინი ზოგი რეალის, ბარსელონას, იგივე ლივერპულის თუ ჩელსი-მანჩესტერის „ბალელშჩიკობას“ არიან ჩვეულნი, მაგრამ ამაზე სხვა დროს და აუცილებლად...

პირველი ტაიმის შუაწელში ყიფომ ალბათ თავის კარიერაში ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა, როდესაც ჰამბურგის ორი მცველი, ნოგლი და ბულიანი სახტად დატოვა და ჭედა!

ახლაც მტკიცედ მჯერა, რომ არა დავით მუჯირის ფატალური ავტოგოლი ტაიმის მიწურულს და შესვენებაზე ჩვენები 1:0-ზე ჩასულიყვნენ გასახდელში, არა მხოლოდ იმ თამაშის, მთლიანად ორრაუნდიანი ჯახის შედეგიც სხვა იქნებოდა და იმ წელს ჩემპიონთა თასსაც იქნებ თბილისში დაედო ბინა?! – ეს ისე, ზემოთ ნათქვამი „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“, კონტექსტში.

მეორე ტაიმში ჩვენმა ბიჭებმა ჰამბურგის ფსიქოლოგიურ უპირატესობას ვერ გაუძლეს და ის თამაში 3:1 წავაგეთ, მაგრამ დიდი იმედით ველოდებოდით თბილისის საპასუხო მატჩს.

ჰოდა, ისევ დინამოს პირთამდე გავსებული სტადიონი და ვოვა გუცაევის სწრაფი გოლი 4 თუ 5 წუთზე. თუ არ ვცდები ყიფოს პასით ისე მეტეორივით შეიჭრა ჰამბურგის საჯარიმოში, რომ ვერაფერი გააწყვეს მის წინააღმდეგ და 1:0.

ისეთი ამბავი ატყდა ტრიბუნებზე, აფეთქდაო, რომ თქვა, რბილად ნათქვამი იქნება. ვიღაცამ, დასავლეთი ტრიბუნიდან ე. წ. „რაკეტნიცადან“ გაისროლა, რომელიც ზემოთ ბეტონის გადახურვას მოხვდა და სარბენ ბილიკებზე დავარდა. შეხვედრის არბიტრმა თამაში დროებით შეაჩერა, თითქოს უარესები არ ხდებოდა ევროპის სტადიონებზე. შემდეგ სტადიონის რეპროდუქტორებით გამოგვიცხადეს, რომ თუ არ დავწყნარდებოდით, უეფა ჩვენს სტადიონს დააჯარიმებდა.

ერთი სიტყვით, იმის მაგივრად, რომ გატანილი გოლის შემდეგ ტრიბუნების ხმაური აღმავალი გზით გაგრძელებულიყო, თამაში განახლდა და ისეთი სიჩუმე სუფევდა, თავი ოპერაში მეგონა. ისე გარკვევით ისმოდა ჰამბურგის ფეხბურთელების ლაპარაკი, რომ მონდომებული კაცი იქვე, ტრიბუნაზე ისწავლიდა გერმანულს.

მუჯირის ავტოგოლის არ იყოს, ისიც მტკიცედ მჯერა, რომ არა მსაჯის არაადეკვატური რეაქცია უბრალო „რაკეტის“ გამო და სტადიონის ადმინისტრაციის, აგრეთვე მილიციის ენერგიული ქმედებები ტრიბუნებზე, იმ საპასუხო მატჩის შედეგიც სხვა იქნებოდა. არა და ვისაც ახსოვს, დამეთანხმება, რომ მიუხედავად იმისა, ტრიბუნებზე 100 ათასი კაცი ვიჯექით, ე. წ. მე-12 მოთამაშის ფუნქცია ვერ შევასრულეთ კი არა, ალბათ სავსე სტადიონის სიჩუმე, დამატებითი სტიმული იყო ჰამბურგისთვის და ის თამაში 2:3 წავაგეთ.

**რა თქმა უნდა, არც ჰამბურგის მოთამაშეთა, განსაკუთრებით კევინ კიგანის ოსტატობას ვივიწყებ, მაგრამ ვიმეორებ, არავისზე ნაკლები ვარსკვლავები არ გვყავდა ჩვენც. და ლივერპულის ძლევის შემდეგ ჰამბურგის ბეჭებზე დადებაც შეგვეძლო. ჰამბურგის, რომელიც იმ წელიწადს ფინალში გავიდა და ინგლისის ნოტინგემთან წააგო.**

აქედან გამომდინარე იმ ვარაუდს, რომ როგორც მინიმუმ იმ წელიწადს ფინალში გასვლაც შეგვეძლო, არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. ფინალში კი, ვინ იცის, იქნება მართლაც შემდგარიყო „ძლევაი საკვირველი“, რომელიც, სხვათა შორის, ინგლისის გუნდებთან ახალკაც-ყიფიანის დინამოს კარგად ეხერხებოდა.

ეჰ, რას იზამ! ოცნებას მართლაც არ მოუკლავს არავინ, ჰოდა ვიოცნებოთ, დიახაც წარსულში, რადგანაც ზემოთ ხსენებული ტრიუმფები ქართულ ფეხბურთს სამუდამოდ თუ არა, ახლო მომავალში ნამდვილად არ ელოდება.

**რადგანაც, სამწუხაროდ აღარ იბადებიან პაიჭაძეები, ლოლობერიძეები, მესხები, მეტრეველები, ყიფიანები, გუცაევები, დარასელიები და ა. შ. თუ რატომ გაბერწდა ქართული საფეხბურთო გენი, ამაზე უახლოეს მომავალში ვისაუბროთ.**

**დავით მხეიძე**

**კალათბურთი**

## ცდა ბედის მონახევრეა

**სტამბოლის „ბეშიქთაში“ უკანასკნელად უკვე შორეულ 1975 წელს გახდა თურქეთის ჩემპიონი, რაც ოსმალური გრანდის მრავალრიცხოვან ქომაგთა აღშფოთებას იწვევს.**



ბუნებრივია, მისი შეფები წამყვანი პოზიციის დაბრუნებას ცდილობენ და საამისოდ არც ფინანსებს იშურებენ და არც „ბლატებს“.

ყველაზე სარფიანი კონტრაქტი ახალ სეზონში – ასე შეიძლება შეფასდეს ბოსფორისპირა კლუბის შემადგენლობაში ნბა-ს კაშკაშა ვარსკვლავის ალენ აივერსონის ჩარიცხვა. ვნახოთ, რას მოუტანს „ბეშიქთაშს“ 4-მილიონიანი გარიგება.

**ინტერნეტიდან**

## საუკეთესო მძლეოსნის ძიებაში

**ალბათ, გახსოვთ ამას წინათ დავბეჭდეთ გრძელი სია იმ ათლეტებისა, რომლებიდანაც შეიძლება აირჩეს წლის საუკეთესო მძლეოსნები, ახლა კი მონტე-კარლოდან მოსული ახალი ინფორმაციით, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAFძ გამოაქვეყნა შორტ-ლისტი ძველი სიის შევიწროებული შემადგენლობისა.** ხუთკაციანი სია ასე გამოიყურება: **ტაისონ გაი** (აშშ, სპრინტიძ, **დევიდ ოლივერი** (აშშ, 110 მეტრი თარჯრბენიძ, **დევიდ რუდიშა** (კენია, 800 მეტრიძ, **ზერსენაი ტედესე** (ეროტრია, ნახევარმარათონიძ, **ანდრეას ტორკილდსენი** (ნორვეგია, შუბიძ, ქალთა შორტ-ლისტის შემადგენლობა გუშინ გვიან გამოქვეყნდა და ხვალ შეგატყობინებთ.



შეგახსენებთ, რომ ამ სიაში დიდი ხნის შემდეგ პირველად ვერ მოხვდნენ რუსეთის წარმომადგენლები.

## ფეხბურთს რაგბი არჩია

**იტალიური „ინტერის“ ყველაზე სექსუალური გულშემატკივარი მელიტა ტონოლო სპორტის სხვა სახეობამ – რაგბიმ გაიტაცა, რაც სრულებით არაა გასაკვირი, მას ხომ ძალზე ღონიერი და ლამაზი ვაჟკაცები თამაშობენ. ასეთები კი მელიტას ძალიან უყვარს.**

ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ რაგბიში იტალიის ნაკრების მესვეურებს და ახლა ლამაზმანი მარტო რაგბის გულშემატკივარი კი არა, მისი თილისმაც გახდა. იქნებ ახლა მაინც მელიტას ყურადღება მიაპყრონ იტალიის ფეხბურთის მესვეურებმა და ლამაზმანი გახდეს კიდევ ერთი ნაკრების სიმბოლო. არა და, ბოლო ხანებში იტალიური ფეხბურთი მაინც და მაინც არ ბრწყინავსო.



⊙ მთავრობამ გაიხუმრა

# ცოცხალი მკვდრები

**— ში, დედა, ეს ქალი ცოცხალი ყოფილა! — აღმოხდათ № დაწესებულების თანამშრომლებს, როცა დერეფანში მიმავალ თინიკო პენსიონერის ნაცნობ ფიგურას მოჰკრეს თვალი.**

— ახლა კი ვარ ცოცხალი, გოგოებო, — აფშლუკუნდა თინიკო, — მაგრამ რაღა დაგიმალოთ, მთელი სამი თვე მკვდარი ვიყავი.

— ღმერთო კი მომკალი, — იჩქმიტა ბარძაყზე ნარგიზამ, — ამიტომ არ გვპასუხობდი, გოგო, ტელეფონზე?

— აბა რა მეტელეფონებოდა, ჩემო კარგო, როდის იყო, მკვდარი ტელეფონით ლაპარაკობდა?

— დიდუ! — შემოირტყა თავში ფოთოლამ, — კი მაგრამ, როგორ მიხვდი, გოგო, რომ მკვდარი იყავი?

— მე თავად რას მივხვდებოდი, საყვარლებო, სობესი დამეხმარა ამ საქმეში. მან პირველმა აღმოაჩინა, ჩემი უჩუმრად მიცვალების ამბავი.

— სობესმა? — გაიკვირვეს თანამშრომლებმა, — ამ ხნის ქალს სობესში რა მიგარბენინებდა?

— მივრბოდი კი არა, სიხარულით მივფრინავდი... ბანკში პენსია დამიბლოკეს და აბა რა უნდა მექნა?

— მერე სობესში რა მოიმიზეზეს, მკვდარი ხარ და პენსია იმიტომ შეგიწყვიტეთო?

— არა, პირდაპირ ასე უჯახეზიათ, როცა ვუთხარი, ესა და ეს პიროვნება ვარ-მეთქი, ჯერ საქმეში ჩაიხედეს, მერე კარგად დამაკვირდნენ და მორიდებით შემაპარეს: ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, მაგრამ თქვენ ამჟამად ცოცხალი კი არა, უკვე ორი თვის გარდაცვლილი ბრძანდებითო.

— მერე, შენ რა უთხარი?

— ხომ არ დავუჯერებდი. რა თქმა უნდა, დავუცაცხანე (მგონი ფეხებიც დავუბრახუნე): ეგ თვალები იმიტომ არა გაქვთ, რომ მკვდარი და ცოცხალი ერთმანეთისგან გაარჩიოთ, თუ მკვდარი ვარ, აბა როგორღა გელაპარაკებით-მეთქი?

— არაო, — გაჯიუტდნენ, — ცოცხალი რომ ხარ, მშვენივრად ვხედავთ, მაგრამ ეს ჩვენთვის დოკუმენტი არ არისო.

— აბა რა არის თქვენთვის დოკუმენტი-მეთქი?

— აი ეს ქაღალდი, სადაც გარკვევით წერია, რომ თქვენ კაი ხნის გარდაცვლილი ბრძანდებით.

— მაინც რამდენი ხნის? — ვიკითხე ანგარიშმიუცემლად.

— ხომ გითხარით, ორი თვის. თარიღს ზუსტად ვერ დაგისახელებთ, მაგრამ თბილისის მერის არჩევნების დღისთვის რომ უკვე გარდაცვლილი იყავით, ეს ნამდვილად დოკუმენტურად დადასტურებულია.

— რანაირად ვიყავი გარდაცვლილი, ხალხო, როცა გიგი უგულავას ხმა პირადად მივეცი?

— ეგ უკვე ჩვენი საქმე აღარ არის. დოკუმენტი გვიჭირავს ხელში და ამის ენა-პირით გელაპარაკებით!

— კი მაგრამ, ეგ დოკუმენტი ვინ შეადგინა? — დავინტერესდი.

— ოპოზიციურმა ჯგუფმა, რომელიც საარჩევნო სიებში მკვდარ სულებს ეძებდა.

— თუ ეძებდა, რატომ სახლში არ მომაკითხა?

— მოგაკითხეს იმ მისამართზე, რაც სიაში წერია, მაგრამ მეზობლებმა უთხრეს, ასეთ პიროვნებას არ ვიცნობთო და მკვდრად ჩაგთვალეს.

— იმათ ჩათვალეს, მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ, რომ ცოცხალი ვარ? საკუთარ თვალებს თუ არ ენდობით, აი ჩემი პირადობის მოწმობა, სურათი, მისამართი, ჩაიხედეთ და დარწმუნდებით რომ მკვდარი არა ვარ.

— ეგ არ კმარა, ქალბატონო უნდა მოიტანოთ ნოტარიუსით დამოწმებული ოჯახის წევრების (ქმარი, მული, შვილები, შვილიშვილები), მეზობლების, სამსახურიდან თანამშრომლების დასტური და ხელმოწერა, რომ თქვენ ნამდვილად თქვენ ხართ და არა ის, რომელიც უკვე საიქიოში განისვენებს.

— იმ საიქიოდანაც ხომ არ მოვიტანო ჩემს მაგივრად გარდაცვლილი ქალბატონის დასტურ-ხელმოწერა?

— მოიტანეთ, ყველაფერი ერთად შეაგროვეთ და მოიტანეთ! — ამოიხავლეს მოთმინებადაკარგულებმა.

— მერე, არ მიუტანეთ?

— როგორ არ მივუტანე, მაგრამ ამ საქმეზე მთელი 3 თვე დაოთხილი მარბენინეს მაგ უსინდისოებმა. ახლა, როგორც იქნა, გამაცოცხლეს და სამუშაოს ისევ დავუბრუნდი.

— მაგრამ მარტო შენ ხომ არ იყავი ასეთი, — დაინტერესდა ფოთოლა, — როგორც მახსოვს, იმ სიებში ათასობით მკვდარი სული აღმოაჩინეს. თუ იცი, მთავრობამ ისინიც გააცოცხლა თუ საიქიოს გზას გაუყენა?

— ეტყობა, მთავრობამ იმ სიებში მოხვედრილ ყველა პენსიონერს ჩემსავით გაეხუმრა, — რადგან მათი ხმა ვერ გამოიყენა, მკვდრად მონათლა და პენსიები შეუწყვიტა.

— შენ საიდან იცი?

— როგორ არ ვიცი. იმ პერიოდში, მე რომ „გასაცოცხლებლად" დავრბოდი, სობესის კართან ყოველდღიურად „მკვდარი პენსიონერების" გრძელი რიგი იდგა...

— ში, ეგენი, ჩვენი ხელისუფალნი, მანახვა იმ რიგში! — მეორედ იჩქმიტა ნარგიზამ, მაგრამ ამჯერად უკვე სხვა ადგილზე.

**ოტია ჩართოლანი**

⊙ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ვინც ამას იყენებდა, არანორმალურად მიაჩნდათ, სხვებისგან იზოლაციაში ამყოფებდნენ და მკურნალობასაც კი უნიშნავდნენ. მხოლოდ XVI საუკუნეში იტალიელმა ექიმმა ჯერონ კარდანმა ოფიციალურად შექმნა ის, რის გარეშეც ამ კატეგორიის ადამიანებისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა ნორმალური ცხოვრება — ეს არის ყრუ-მუნჯთა ენა.**

**● ახლა ისინი სამკურნალო დაწესებულებებსა და სამხედრო პირთან ასოცირდება. ძველად კი ასე ერქვათ პატარა სასტუმროებს, რომლებშიც მგზავრობისას დაისვენებდნენ, დანაყრდებოდნენ, ღამეს გაათევდნენ და შემდეგ გზას განაგრძობდნენ. ასეთი სასტუმროები მონასტრებთანაც კი იხსნებოდა — მათ ჰოსპიტალი ერქვა.**

**● ამ ქვეყნის მოსახლეობა 1501 წელს ესპანელებმა თითქმის ამოწყვიტეს, მაგრამ მისი სახელი დღესაც „ცოცხალია" და თავსაბურავის ერთ-ერთ სახეობას ჰქვია — მას პანამას უწოდებენ.**

**● რუსეთში 1865 წლამდე ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა მკაცრად იყო აკრძალული.**

**● 1633 წელს ინკვიზიციამ გალილეო გალილეი ერეტიკოსად და დამნაშავედ ცნო.**

**● ძვ.წ. 45 წელს რომში კონსულად კანინიუს რებილუსი დაინიშნა, მაგრამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში იყო.**

**● ჰოლივუდში ფილმის გადაღებისას ქალთა დაწესებულებებს: მაღაზიებს, ატელიებს, სალონებს პატარა კარს უკეთებენ, მამაკაცებისას კი: ბარებს, ოფისებს, ბანკებს — დიდს, რომ ქალები პატარები გამოჩნდნენ, მამაკაცები კი — დიდები.**

**● 1583 წელს ისტორიაში პირველად დააზღვიეს სიცოცხლე. ლონდონელმა რიჩარდ მარტინმა 200 გირვანქა სტერლინგად დააზღვია უილიამ გიბსონი.**

**● ამერიკის ქალაქ სპოკანში პირველად იზეიმეს „მამის დღე".**

**● 1675 წელს ინგლისში დაარსდა გრინვიჩის სამეფო ობსერვატორია.**

**● 1920 წელს მილოსელ გლეხკაცს მუშაობისას ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და როდესაც გონს მოვიდა, წელზემოთ შიშველი ქალის ქანდაკების გვერდით იწვა — ეს ვენერა მილოსელი იყო.**

**● არ იწუწუნო დროის უქონლობაზე, რადგან შენს დღე-ღამეშიც ზუსტად იმდენივე საათია, რამდენიც ჰქონდა არქიმედეს, ნიუტონს, აინშტაინს და აქვთ ბილ გეიტსსა და ჯორჯ სოროსს.**

**● ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ო' ჰენრიმ ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში დაიწყო.**

**● რომის იმპერატორმა კალიგულამ თავის ცხენს კონსულობა მიანიჭა.**

**● დასავლეთ კაროლინის შტატის მცხოვრებლებმა კაპიტალი, ძირითადად, პლანტატორობით დააგროვეს. მათ მოჰყავდათ ბრინჯი, რომელიც ამ მხარეში შემთხვევით, დაზიანებული გემის წყალობით მოხვდა. გემის ეკიპაჟმა რემონტის საფასური ბრინჯით გადაიხადა და გლეხებს მისი მოყვანაც ასწავლა.**

**● კომპანია „მალბოროს" პირველი მფლობელი ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა.**

**● ამ ქვეყანას რომაელები კალედონიას ეძახდნენ, მას ლათინურად შოტლანდია ჰქვია.**

**● 1998 წლის 12 ნოემბერს გერმანიის ქალაქ ჰამელნში დისლოცირებულმა 35-ე ინგლისურმა საინჟინრო პოლკმა 8 წუთსა და 19 წამში 5-სექციიანი ხის ხიდი ააგო.**

**● 1994 წლის 16 აპრილს ბელფასტში, ჩრდილოირლანდიელმა ქალმა ანალაიზ რეიმ 121,7 დეციბალის სიმძლავრის ყვირილი გამოსცა. საინტერესოა, რომ სიტყვა, რომელიც მან იყვირა, იყო „სიჩუმე".**

**● „ნურასდროს დაგეგმავთ თვითმკვლელობას ცუდ ამინდში", — ხუმრობენ ნიუ-იორკელები მას შემდეგ, რაც მათი ერთ-ერთი თანამოქალაქე თავის მოსაკლავად „ემპაიარ სტეიტ-ბილდინგის 86-ე სართულიდან გადმოხტა, მაგრამ ძლიერმა ქარმა კი ისევ უკან 83-ე სართულის ღია ფანჯარაში შეაგდო.**

**● ლენინს 17 უცხოური და 129 რუსული ფსევდონიმი ჰქონდა.**

**● გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს რუმინეთში „ფეხბურთის კარუზო" შეარქვეს.**

**შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა**

⊙ ტრადიცია



# ერთმანეთს არ კარგავენ

ისინი კვლავ შეიკრიბნენ ერთად, სახალხო კონტროლის სისტემის ყოფილი მუშაკები. ყველას თუ არა საშუალო თაობის ხალხს მაინც ახსოვს სახალხო კონტროლიც და ეს ადამიანებიც, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ რატომღაც „ჩარეცხილებად" რომ მიიჩნიეს (და განა მარტო ისინი?), მიუხედავად მათი დიდი სამუშაო გამოცდილებისა, პატიოსნებისა და საქმის ერთგულებისა.

როგორც ამ შეხვედრაზე მისმა ერთ-ერთმა თაოსანმა გრამიტონ კვარაცხელიამ აღნიშნა, ყოფილ თანამშრომლებს ერთმანეთის იმედი არ დაუკარგავთ, ყოველწლიურად აწყობდნენ ასეთ შეხვედრებს. ასე იყო ახლაც, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ისინი, რათა ერთხელ კიდევ დაემტკიცებინათ ერთმანეთისთვის მეგობრობა და სიყვარული, გაეზიარებინათ სიხარულიც და გაჭირვებაც. შეკრებილთ გულთბილად მიესალმა პროფესორი ოთარ მელქაძე, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს სახალხო კონტროლის სისტემას და ეფექტურად წარმართავდა მას.

მეგობარ-თანამშრომლებს ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები გაუზიარეს რეზო ფირაშვილმა (სიღნაღი), ოთარ ჭითანავამ და გურამ კოკაიამ (ზუგდიდი), ვახტანგ ხორავამ (ფოთი), ბორის ფოცხვერაშვილმა (სამტრედია), როზიკო პაპიძემ (ქუთაისი), გელა ზანდარაშვილმა (მცხეთა), აბესალომ კობერიძემ (თბილისი), თამაზ ცინცაძემ (აჭარა), მურმან ჭედიამ (აფხაზეთი) და სხვებმა. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ ტრადიცია გაგრძელდება და შემდეგი შეხვედრები უფრო შინაარსიანი და ოპტიმისტური იქნება.

**ვალიკო სიმონიშვილი**

სურათზე: შეხვედრის მონაწილენი.

⊙ ინფორმაცია

## პოლიციის შენობები სოკოებივით მრავლდება

**ისანი-სამგორის რაიონში შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ პოლიციის ახალი, გამჭვირვალე შენობა გახსნეს.**

2008 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონებში ააშენა და აამოქმედა პოლიციის განყოფილების თორმეტი ახალი შენობა, რომლებიც აღჭურვილია უახლოესი კომპიუტერული ტექნიკით და არის სრულიად გამჭვირვალე. დღეისთვის მზად არის და ფუნქციონირებას დაიწყებს ისანი-სამგარის რაიონის პოლიციის მეექვსე განყოფილება, რომელიც მოემსახურება აეროპორტის დასახლებას. განყოფილებაში დასაქმებულია ოცდაექვსი პოლიციელი.

## უმაღლესი საბჭოს შენობასაც ყიდიან

**აჭარის უმაღლესი საბჭო ჩაქვის ყოფილი სანავადმყოფოს შენობაში განთავსდება.**

როგორც ცნობილი გახდა, 2010 წლის ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოს შენობის საპროექტო და სარემონტო სამუშაოებისთვის 638 ათასი ლარია გათვალისწინებული.

2011 წლის ბიუჯეტში კი უმაღლესი საბჭოს ახალი შენობის რეკონსტრუქციისათვის 1 მლნ. 50 ათასი ლარი დაიხარჯება.

მას შემდეგ, რაც ბათუმის ცენტრში მდებარე უმაღლესი საბჭოს მრავალსართულიანი შენობა გამონთავისუფლდება, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მის პრივატიზაციას გეგმავს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოხატავს გამოცდილი სამეურნეო მუშაკის

რობერტი აკაკის ძე რატიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

---

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

რობერტ რატიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

მარინა კანდელაკი მწუხარებას გამოთქვამს

რობერტ რატიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

---

მეუღლე ლილი გოგუა, შვილები გვანცა, ნათია, ძმა შალვა ჩხენკელი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ჩხენკელი

პანაშვიდი 11, 12 XI, 17 სთ. გამოსვენება 13 XI, 14 სთ. მისამართი: ვუკოლ ბერიძის 4.

# გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ◉ დაიჯესტი

### „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა პაექრობა

**მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ქალია პოლონელი ანეტა ფლორჩიკი (სიმაღლე 168 სმ, წონა 75 კგძ, იგი მსოფლიოს ჩემპიონია ქალთა ძალოვან ექსტრიმში, ხოლო მისი ჰობია... ტაფების რულონებად დახვევა.**

პანი ფლორჩიკის ძირითადი მეტოქეა ჩელიაბინსკელი მარინა კიგელევა (სიმაღლე 180 სმ, წონა 120 კგძ, რომელიც ისეთ ჯანზეა, რომ ადგილობრივ ღამის კლუბში ჩხუბისთავი კლიენტების... გამძევებლად მუშაობს და მეტსახელად „ჯავშანა“ ჰქვია. თავისუფალ დროს კი ადგილიდან ადგილზე... სატვირთო მანქანებსა და კომბაინებს „ეზიდება“.



ცოტა ხნის წინათ ეს ორი მანდილოსანი ერთმანეთს შეეჯიბრა: ჯერ ორ-ორი 70 კილოგრამიანი ჩემოდნის გადატანაში – ვინ უფრო შორს, რაშიც პოლონელმა სპორტსმენმა იმარჯვა, ხოლო შემდეგ ორტონიან მიკროავტობუსებს „შეექიდნენ“ იმავე პრინციპით, სადაც ჩელიაბინსკელმა „ტურფამ“ იმარჯვა, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, გამარჯვებულად გამოცხადდა.

## ◉ დღის კალენდარი — 11 ნოემბერი

ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელისა (900ძ. ღირსი მოწამე ანასტასია რომაელისა (IIIძ; ღირსი აბრაამ დაყუდებულისა და ნეტარი მარიამისა, ძმისწულისა მისისა (დაახლ. 360ძ; ღირსი ანნასი (826ძ; მოწამეთა: კლავდისა, ასტერისა, ნეონისა და თეოლინასი (285ძ.



ამოდის 06.45
ჩადის 16.45



ამოდის 11.33
ჩადის 21.26

### დაიბადნენ:

1524 – **პიერ დე რონსარი,** ფრანგი პოეტი.
1821 – **ფიოდორ დოსტოევსკი,** რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1881 წელს.
1898 – **რენე კლერი,** ფრანგი კინორეჟისორი, გარდაიცვალა 1962 წელს.
1899 – **ალფრედ ჰიჩკოკი,** ამერიკელი კინორეჟისორი, პროდიუსერი.
1939 – **ბესიკ ხარანაული,** პოეტი.

### გარდაიცვალნენ:

565 – **იუსტინიანე I,** ბიზანტიის იმპერატორი.
1884 – **ალფრედ ედმუნდ ბრემი,** გერმანელი მეცნიერი, „ცხოველთა ცხოვრების“ ექვსტომეულის ავტორი.
1946 – **ნიკოლაი ბურდენკო,** ცნობილი რუსი ქირურგი.
1983 – **არნო ბაბაჯანიანი,** კომპოზიტორი.
1986 – **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** საბჭოთა ეპოქის პარტიული მოღვაწე.
1996 – **ვანგა,** ბულგარელი წინასწარმეტყველი ქალი.

### მოვლენები:

**1919 წელი** – დიდ ბრიტანეთში პირველად შესრულდა ორწუთიანი დუმილის რიტუალი ომში დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ.
**1925 წელი** – ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ლუი არმსტრონგმა თავისი პირველი ფირფიტა ჩაწერა.
**1942 წელი** – მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დაიპყრეს სამხრეთ საფრანგეთი.
**1965 წელი** – როდეზიის (თანამედროვე ზიმბაბვესძ პრემიერ-მინისტრმა იენ სმიტმა ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა.
**1975 წელი** – პორტუგალიამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ანგოლას.
**1987 წელი** – ვან გოგის ნახატი „ზამბახები“ რეკორდულ ფასად – 53.6 მილიონ დოლარად გაიყიდა.
**1997 წელი** – საქართველოში მიიღეს კანონი „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**მეცნიერებისა და მშვიდობის საერთაშორისო კვირეული.**
**პოლონეთი** – დამოუკიდებლობის დღე.
**აშშ** – ვეტერანების დღე.
**ფინეთი** – მამების დღე.
**კანადა** – მიცვალებულთა ხსოვნის დღე.

**მედიანიუსი**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7796 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4856 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8584 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +6 – +13 |
| ქუთაისი. | +7 – +18 |
| ბათუმი. | +4 – +15 |
| ზუგდიდი. | +5 – +20 |
| თელავი. | +5 – +15 |


**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.



**შევიძენ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.



**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ◉ ანეკდოტები

გუშინ ნათლად ვიგრძენი სსრ კავშირის მემკვიდრეობის დიდებულება – იტალიური სარეცხი მანქანა საბჭოთა საბავშვო კონსტრუქტორის ინსტრუმენტებისა და დეტალების დახმარებით შევაკეთე!

* * *

სიდედრი სიძეს ეკითხება.
– ის კაცი თუ ნახეთ, რომელმაც გადამარჩინა, როცა მდინარეში ვიხრჩობოდი?
– კი, ის გუშინ უკვე მოვიდა ბოდიშის მოსახდელად!

* * *

ჩვენ დროში ალკოჰოლიზმი ნარკომანიის საწინააღმდეგო აცრად უნდა მივიჩნოთ.

* * *

– წარმოგიდგენია, თქვენი ქალიშვილი საქმროსთან ერთად ეკლესიაში რომ შევიდა, სინათლე ჩაქრა!



– ეგ არაფერია, მან საქმრო პირდაპირ საკურთხეველთან მიიყვანა, პირველად რომ არ არის აქ, გზა კარგად იცის!

* * *

ერთწლიანი რეისიდან დაბრუნებული მეზღვაური სასწრაფოდ დაიქირავებს ბინას, ქალსა და ტანსაცმელს!

* * *

– ძვირფასო, ქორწილამდე შენ ჩემთვის ტაქსს იკავებდი. ახლა კი მეტროთი დავდივართ.
– ეს იმიტომ, რომ ძალიან მეამაყები, ტაქსში კი მხოლოდ ერთი კაცი – მძღოლი გხედავდა, მეტროში კი – ასობით ადამიანი.

* * *

– სულელი ვიყავი, შენ რომ ცოლად გამოგყევი, – ეუბნება ტელევიზორს მიშტერებული ცოლი ქმარს.
– მე შენით ისე ვიყავი გატაცებული, რომ ეგ არ შემიმჩნევია!

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.